პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 261 (15171)
11 ნოემბერი ხუთშაბათი
1971
ფასი 2 კაპ.

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობამ.

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ.

საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობის დელეგატებს და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე ლენინური პრინციპების ერთგული პარტიული, საბჭოთა პრესა მუდამ გამოდიოდა და ახლაც გამოდის როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, რაზმავს საბჭოთა ხალხს მსოფლიო-ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწენი არიან საქართველოს ჟურნალისტები.

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა შეიკრიბა იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, რომელმაც ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, აქტიურად იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. დიდ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საქართველოს მშრომელები, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებაში. ამაში დიდი როლი მიეკუთვნებათ ჩვენი რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს.

სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ბევრ რამეს აკეთებენ ქვეყნის საშინაო ცხოვრების აქტუალური, საბჭოთა ადამიანებისათვის საინტერესო პრობლემებისა და საერთაშორისო საქმეების ოპერატიულად გაშუქებისათვის, ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, სხაკადრის პასუხს სცემენ კლასობრივ მოწინააღმდეგეთა იდეოლოგიურ გამოხდომებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტები კიდევ უფრო აამაღლებენ პრესის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალების როლს სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლაში, უფრო მკაფიოდ და ღრმად გაუწევენ პროპაგანდას მის გადაწყვეტილებებს, ახალი ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანებს, ფართო პლანით წარმოსახავენ მათი შესრულების მსვლელობას.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მუდამ უნდა იზრუნოს ჩვენი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობის ქმედითობისა და ოპერატიულობის გაძლიერებისათვის, ჟურნალისტთა კადრების პოლიტიკური სიმწიფისა და ოსტატობის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჟურნალისტებს, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა მუშაკს, საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტებს უსურვებს ახალ დიდ წარმატებებს მუშაობაში, რომლის მიზანია მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, კომუნისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების შესრულება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1971 წლის 8 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წ. 10 ნოემბერი.

თბილისი. 1971 წ. 10 ნოემბერი. საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.
ფოტო ვლ. ბინზურბისა და მ. კვირიკაშვილისა.

საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა

10 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა.

ყრილობაზე მოვიდნენ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობების, დეპეშათა სააგენტოს მუშაკები, სტუმრები.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ შ. კიკნაძე, ვ. მჟავანაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, ჯ. პატიაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ალექსეევი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ჩერნიშევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. გოგოხია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. შევარდნაძე, მინისტრები, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

ყრილობა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმაფრენით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

მტკიცდება დღის წესრიგი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს.

ამხ. მჟავანაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობისადმი, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ, და ყრილობის მონაწილეებს გულთბილი სიტყვით მიმართა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჟურნალისტთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა.

საანგარიშო მოხსენება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორის მოადგილემ ა. ჩავლეიშვილმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ქ. გარდაფხაძე, გაზეთ „აფსნი ყაფშის" რედაქტორი რ. ბუტბა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი დ. გამეზარდაშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარე, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი ნ. ჯაში, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორი პ. ალტუნინი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი მ. დავითაშვილი, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის" რედაქტორი ა. ქუმარიტოვი, მრავალტირაჟიანი გაზეთის „მეტროსტროიტელის" რედაქტორი მ. კობიძე, ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთის „მებრძოლის" რედაქტორი ი. ქორთუა, ქუთაისის საქალაქო გაზეთის „ქუთაისის" რედაქტორი გ. მეფისაშვილი, თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის" რედაქტორი შ. როსტომაშვილი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ჩერნიშევი.

ყრილობის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „სოვეტაკან აიასტანის" რედაქტორი ლ. კროიანი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, აქტიური მუშკორი ა. ძამაშვილი.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის ანგარიში. დამტკიცდა აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობამ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა III ყრილობის დელეგატები.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა რესპუბლიკის ჟურნალისტთა IV ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**, თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი **შ. ყარყარაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **კ. გარდაფხაძე**, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი **შ. გაგოშიძე**, გამგეობის მდივნად საორგანიზაციო მუშაობაში არჩეულია **ზ. გემაზაშვილი**.

პლენუმმა გამგეობის მდივნებად აირჩია გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი **ა. გლრციანი**, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი **ნ. ჯაში**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს დირექტორი **ვ. შიაურელი**, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი **მ. დავითაშვილი**, გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი **ნ. შველიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ხუციშვილი**, გაზეთ „აფსნი ყაფშის" რედაქტორი **რ. ბუტბა**, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი **შ. ქურიძე**, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის" რედაქტორი **ა. ქუმარიტოვი**, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორი **პ. ალტუნინი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი **გ. გელაშვილი**, გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორი **გ. მეფისაშვილი**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **დ. გოგოხია**.

* * *

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე **ა. ჩავლეიშვილი**. (საქინფ.).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმის წარმომადგენლები, რომლებიც შეიკრიბნენ ჟურნალისტთა IV რესპუბლიკურ ყრილობაზე, თავიანთ მხურვალე და ფიქრებს მიაპყრობენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, რომლებიც საბჭოთა ხალხს მიუძღვიან კომუნისტური მშენებლობის გზით.

ღირსშესანიშნავი პერიოდია ახლა საბჭოეთში. ყველგან — ყველა მის რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში წარმოებს შემოქმედებითი მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია იბრძვიან ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ცდილობენ ღირსეული წვლილი შეიტანონ საყოველთაო-სახალხო შრომაში.

პარტია, მისი დიდი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი მუდამ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბოლშევიკურ პრესას, მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებანი მიაჩნდათ პარტიისა და ხალხის დამაკავშირებელ რგოლად, ჟურნალისტებს თვლიდნენ პარტიის პოლიტიკის გამტარებლებად.

ყველა საბჭოთა ჟურნალისტთან ერთად ჩვენ ვამაყობთ, რომ ესოდენ მაღალი შეფასება მიეცა ჩვენს შრომას სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პარტიის XXIV ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ახალი სერიოზული ამოცანები, წამოყენებულია მაღალი მოთხოვნები — უნარიანად გავუწიოთ პროპაგანდა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამასთან ღრმად ჩავწვდეთ ფაქტებისა და ცხოვრების მოვლენათა არსს, გავაშუქოთ ეკონომიკის პრობლემები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კულტურის საკითხები, მხარი დავუჭიროთ და გავავრცელოთ მასების ინიციატივა, მოწინავეთა გამოცდილება, შეურიგებლად, საქმიანად გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი და ჩვენი მუშაობით ხელი შევუწყოთ ქვეყნის სოციალური და ეკონომიური განვითარების ამოცანათა შესრულებას, მშრომელთა აღზრდას კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

1972 წელს 50 წელი უსრულდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ხალხთა დიდ ოჯახს, რომლებიც ერთსულოვნად ხელიხელჩაკიდებული, მხარდამხარ მიდიან სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. ქართველ ჟურნალისტებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ღირსეულად გააცნონ რესპუბლიკის მშრომელებს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს შესანიშნავი გამარჯვებანი, უამბონ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ცხოველმყოფელ ძალაზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ტრადიციებზე. მკითხველთა და მსმენელთა მასებისადმი მიმართული მგზნებარე, მართალი სიტყვა, — აი ჩვენი საბრძოლო იარაღი, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს საქართველოს მშრომელები, და განსაკუთრებით მოზარდი თაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ერთგულების სულისკვეთებით, ხალხის სახელოვან რევოლუციურ, შრომით და საბრძოლო ტრადიციებზე, მთელი სისრულით გამოავლინოს საბჭოთა ადამიანების — ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების დიადი საქმეები, ზნეობრივი სილამაზე და კეთილშობილური მისწრაფებანი.

ჩვენს დიდ მოვალეობად მიგვაჩნია ვამხილოთ იმპერიალიზმის რეაქციული, ანტიხალხური არსი, აქტიურად შევუტიოთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

კომუნისტურ პარტიას ჟურნალისტი მიაჩნია თავის ერთგულ თანაშემწედ, აქტიურ მებრძოლად. ჩვენი რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები ცდილობენ ღირსეულად ატარონ და მთელი თავიანთი შრომით გაამართლონ საბჭოთა ჟურნალისტების საპატიო წოდება — სრულყონ პროფესიული ოსტატობა, განამტკიცონ კავშირი მშრომელებთან, მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან, ღრმად და ყოველმხრივ ასახონ თავიანთ მუშაობაში ქვეყნისა და რესპუბლიკის მთელი მრავალფეროვანი ცხოვრება.

საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები დაიცავენ პარტიული ჟურნალისტიკის ლენინურ პრინციპებს და კვლავაც ერთგულად ემსახურებიან პარტიისა და ხალხის საქმეს, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარენ ბრძოლას ჩვენი დიადი სამშობლოს ახალი წარმატებებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებებისათვის.

საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობა.

დეპეშების გაცვლა

თურქეთის ეროვნული დღესასწაულის — თურქეთის რესპუბლიკის 48 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯევდეთ სუნაის გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

საპასუხო დეპეშაში თურქეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაიხადა მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ნიჰატ ერიმს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა თურქეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო.

საპასუხო დეპეშაში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გულწრფელი მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის.

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურმა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ი. გოვონმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა საპასუხო დეპეშა, რომელშიც მადლობა გადაიხადა მილოცვებისა და კეთილი სურვილებისათვის ნიგერიის დამოუკიდებლობის გამოცხადების 11 წლისთავის გამო.

დეპეშაში გამოთქმულია კმაყოფილება სსრ კავშირისა და ნიგერიის ურთიერთობის განვითარების გამო და იმედი, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება ორი ქვეყნის ხალხებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის. (საქინფ.).

ხუთწლედი — ვადამდე!

გეგმაც, ვალდებულებაც

□ **თბილისი.** (საქ. კორ.). კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა (დირექტორი გ. შენგელია) თერთმეტი დასახელების სამსხმელო მანქანებს უგზავნის მეტალურგიულ მრეწველობას, ამასთან უშვებს სხვადასხვა სახალხო მოხმარების საგნებს. მანქანათმშენებლები დროს უსწრებენ. მათ უკვე შეასრულეს 11 თვის დავალება, 10 თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 40 მანქანა და 186 პროცენტით გაანაღდეს სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმა. აღსანიშნავია, რომ ამ საგნების გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 3-ჯერ გაზარდეს.

□ № 1 თამბაქოს ფაბრიკის (დირექტორი გ. ყანჩაველი) კოლექტივმა ათი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 7 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 52 ათასი მანეთით.

საწარმოს კოლექტივი უკვე ოთხი კვარტალია ზედიზედ გამარჯვებული გამოდის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და ფლობს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

წარმოება და გამოგონება

ავამაღლოთ ნოვატორთა აქტივობა, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ისე როგორც არასდროს, დღის წესრიგში დგას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ორგანული შერწყმა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან, მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად, იმ რგოლების განმტკიცება, რომლებიც აკავშირებენ მეცნიერებას წარმოებასთან.

მასების ტექნიკურმა შემოქმედებამ განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰპოვა სამეურნეო რეფორმის პირობებში. საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა. ამასთან თუ 1965 წელს რესპუბლიკაში ეს არმია 17 ათას კაცს ითვლიდა, 1970 წელს 21 ათასს გადააჭარბა. მერვე ხუთწლედში შემოსული 116 ათასი რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 86 ათასი წინადადება, რომელთა საერთო ეკონომიურმა ეფექტმა 115 მილიონი მანეთი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებათა დიდი ნაწილის დანერგვით საწარმოები წარმატებით წყვეტენ მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და სამუშაოთა შრომატევადობის შემცირების ამოცანებს. მაგალითად, ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მაღაროთსამმართველოში დაინერგა მუშა-გამომგონებლის შ. რიჟამაძის მანქანა, რომლის დანიშნულებაა ურიკების გაწმენდა მადნის ნარჩენებისაგან. ამ სიახლემ მაღაროელები გაათავისუფლა მძიმე შრომისაგან და 70 ათასი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს. ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის რაციონალიზატორებმა 1969 წელს 21.197 საათით შეამცირეს პროდუქციის შრომატევადობა, ხოლო თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხანაში, გარდა 138.3 ათასი ნორმა-საათის ეკონომიისა, დაზოგეს 9.3 ტონა ფერადი და 106 ტონა შავი ლითონი, 220 ათასი მანეთის საიზოლაციო მასალები, რომელთა საერთო ღირებულება 77.6 ათას მანეთს უდრის. მერვე ხუთწლედის განმავლობაში თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღეს მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში რაციონალიზატორთა არმია 900-ზე მეტ კაცს ითვლის. მარტო 1970 წელს საწარმოში 626 რაციონალიზატორული წინადადება და 4 გამოგონება დაინერგა, რომელთა ეკონომიურმა ეფექტმა 1.367 ათას მანეთზე მეტი შეადგინა.

რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებების დანერგვის ეკონომიური ეფექტიანობის დასაბუთებისათვის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამჯერად უფრო მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრება ხოლმე რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ გავრცელების, მისი ეფექტურობის ამაღლებისა და წარმოებაში დანერგვის გზაზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ეფექტიანი რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების წარმოებაში დანერგვის ვადების შემცირება. ყოველწლიურად სახალხო მეურნეობაში დაუნერგავი რჩება შემოსულ და მოწონებულ წინადადებათა დიდი ნაწილი, რაც, ერთი მხრივ, აფერხებს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს, ხოლო, მეორე მხრივ, ასუსტებს მუშაკთა დაინტერესებას შემოქმედებითი მონაწილეობისათვის წარმოების პროცესში. დაუნერგავ წინადადებათა ხვედრითი წონა 30-35 პროცენტამდე აღწევს. მაგალითად, 1966-1969 წლებში ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა შემოსულ წინადადებათა მხოლოდ 70,2 პროცენტი; 1966 წლის ბოლოსათვის დაუნერგავი დარჩა 3397, ხოლო 1967 წელს — 3484 ეფექტიანი წინადადება. ხშირად ჭიანურდება გამოგონებათა დანერგვის ვადებიც.

რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებათა დანერგვის ვადების გაჭიანურებას და ამის გამო მათი ეფექტურობის შემცირებას ორგანიზაციული და ეკონომიური ხასიათის მიზეზები იწვევენ. არც თუ იშვიათად, პროგრესული გამოგონება ვერ პოულობს საწარმოებისა და უწყებების აქტიურ მხარდაჭერას, მორალურად ძველდება განხილვის პროცესში, ან ყოვნდება საცდელი ნიმუშის დამზადება. ხშირად ასეთი ბედი ეწევათ ხოლმე იმ გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს, რომელთა დანერგვა გარკვეულ საპროექტო და ექსპერიმენტული სამუშაოების კომპლექსთან და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ცხადია, ცალკეულ გამომგონებელთა ძალებით მათი განხორციელება მეტად ძნელი და არაეფექტურია.

საქართველოს სსრ ნოვატორებმა აღნიშნულ სიძნელეთა გადალახვის საკმაოდ სწორი გზა იპოვნეს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი ბრიგადების შექმნის სახით.

ჩვენი აზრით, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადების ორგანიზაცია და მათი საქმიანობის წარმართვა გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენს მასების ტექნიკური შემოქმედების წარმოებაში გეგმაზომიერი დანერგვის გზაზე. მაგრამ, ცხადია, ცალკეული ბრიგადები, რაგინდ ფართო მასშტაბისაც უნდა იყოს მათი მუშაობა, ვერ გადაჭრიან ყველა იმ პრობლემებს, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გვისახავს. ამჟამად დღის წესრიგში დგას უმნიშვნელოვანეს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვა ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმის საფუძველზე. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი, რომ ფართო მასების ტექნიკური შემოქმედება დროულად ჩადგეს წარმოების განვითარების სამსახურში.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის როლისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ექსპერიმენტული ბაზის შექმნის საკითხსაც. ასეთი ბაზის უქონლობა ხშირად აფერხებს ნოვატორთა საქმიანობის შედეგების დანერგვას წარმოებაში, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში სრულიად გამოუყენებელსაც ხდის ეფექტურ გამოგონებას.

მასების ტექნიკური შემოქმედების შედეგების დროულად დანერგვას დიდად აფერხებს რაციონალიზატორულ წინადადებათა გაფორმებისა და განსაკუთრებით გამოგონებებზე სათანადო დოკუმენტაციის გაცემის ვადების გაჭიანურება. არც თუ იშვიათად თვით გამოგონებაზე განცხადებით ნაკლები დრო იხარჯება, ვიდრე საავტორო მოწმობის მიღებაზე. ძალიან ჭიანურდება გამოგონებებზე განაცხადების განხილვა ქვეყნის საექსპერტო ცენტრში — სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მთელ რიგ შემთხვევებში განაცხადის მიცემიდან საავტორო მოწმობის მიღებამდე რამდენიმე წელიც გადის. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ გამოგონებაზე საავტორო მოწმობის მიღებამდე ავტორს უფლება არა აქვს გამოაქვეყნოს მასალები, ცხადი გახდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფორმალური მხარის სწორ ორგანიზაციას და მისი სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებას.

მართალია, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა აქტივობა ჩვენს ქვეყანაში მაღალია (ყოველი მეექვსე განაცხადი გამოგონებაზე მსოფლიოში საბჭოთა გამომგონებლებზე მოდის), მაგრამ ციფრები მოწმობენ, რომ გამომგონებელთა დრო და ენერგია ხშირად ამაოდ იხარჯება. 1969 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის სახელმწიფო კომიტეტმა წინასწარი ექსპერტიზის სტადიაში უარყო მიღებული განაცხადების მეხუთედი, ხოლო სამ მეოთხედს არ გააჩნდა ტექნიკური გადაწყვეტის სიახლე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბევრი ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ფუჭად იხარჯება, რადგან ისინი არ იცნობენ საპატენტო მასალებს. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ განაცხადების 70 პროცენტი საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მოდის. მართალია, უკანასკნელ პერიოდში ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები, კერძოდ, შექმნილია საპატენტო ფონდები საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში, ხდება მათი დაკომპლექტება კვალიფიციური სპეციალისტებით. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ საპატენტო ინფორმაცია დაუახლოვდეს მომხმარებელს.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ეფექტურობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად საწარმოების, ისე ცალკეულ ნოვატორთა მატერიალური წახალისების სისტემის სრულყოფას. ცნობილია, რომ საწარმოები ხშირად დროულად არ ნერგავენ ან სულაც არ ნერგავენ ფრიად მნიშვნელოვან და ეფექტურ გამოგონებებსაც კი. ამის მიზეზი მარტო ორგანიზაციული კი არა, ხშირად ეკონომიური ფაქტორებიც არის. ცნობილია, რომ ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვა მოითხოვს დიდ მატერიალურ დანახარჯებს, ამასთან მთელ რიგ შემთხვევაში მის ათვისებას თან სდევს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების დროებითი გაუარესება. ამიტომ ხშირად უპირატესობა ეძლევა ისეთ გამოგონებათა ან ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, რომლებიც შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვენ და ამავე დროს მოკლე ვადაში იძლევიან ეფექტს. ასეთი არჩევანი კი ყოველთვის არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

საწარმოთა სტიმულირებასთან მჭიდრო კავშირშია თვით რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მატერიალური სტიმულირების საკითხი. უნდა აღინიშნოს რომ აქაც ყველაფერი რიგზე როდია. ცნობილია, რომ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებზე დანერგილ ღონისძიებათა მიხედვით პრემიის თანხის გასაცემად აუცილებელია მისი ეფექტურობის გაანგარიშება. ამასთან რაც უფრო მოკლე ვადაში გაიცემა თანხა, მით მეტი იქნება წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი აქტივობა. პრაქტიკაში ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები ხშირად ირღვევა. მაგალითად, 1967 წელს შემოსული 77 გამოგონებიდან ეკონომიური ეფექტიანობა გაანგარიშებულ იქნა გამოგონებათა მხოლოდ 30 პროცენტზე. უკეთესი მდგომარეობა არც რაციონალიზატორულ წინადადებათა ეკონომიური ეფექტიანობის დადგენის საქმეში იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრემიების გაცემა მეტწილად ხდება საწარმოს ხელმძღვანელობის შეხედულების მიხედვით და, არცთუ იშვიათად, ძალიან გვიან. უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებისათვის პრემიის მისაღებად ავტორები ხშირად სასამართლო ორგანოებს მიმართავენ. ასეთი „პროცედურით" საგრძნობლად ეცემა ავტორთა შემოქმედებითი ინიციატივა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საწარმოთა უმეტესობაში წლის ბოლოს აუთვისებელი რჩება რაციონალიზატორთა და გამომგონებლების პრემირებისათვის განკუთვნილი თანხების გარკვეული ნაწილი, ნათელი გახდება, რაოდენ სრულყოფას მოითხოვს წარმოების ნოვატორთა წახალისების სისტემა. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გაუმჯობესდეს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ეკონომიური ეფექტურობის გაანგარიშების მეთოდიკა, აგრეთვე თვით პრემირების ორგანიზაცია.

მასების ტექნიკური შემოქმედების ამაღლება წარმოებისა და შრომის ეფექტურობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია და მისი სრული რეალიზაცია მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. სოციალისტური გეგმიანი მეურნეობა იძლევა იმის სრულ შესაძლებლობას, რომ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი ინიციატივა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს.

მ. ნარგიზაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მებოსტნეობაც, მეცხოველეობაც...

რენტაბელობის გზით

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგნენ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას. საქართველოსა და, კერძოდ, მცხეთის რაიონის სოფლის მშრომელთა თვალსაჩინო წარმატებებში, რაც უკანასკნელ წლებშია მოპოვებული, ღირსეული წვლილი შეაქვს ნატახტარის მებოსტნეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომისმოყვარე კოლექტივს. წინა ხუთწლედში მეურნეობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ბოსტნეულის, ყურძნის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მეურნეობა ჩადგა მოწინავე რენტაბელურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიგებში.

ჩვენს მეურნეობაში ყოველ ახალ მოვლენას, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს ვპასუხობთ შემოქმედებითი შრომით, ინიციატივისა და შეჯიბრების სხვადასხვა ფორმების ახალი ძალით გაშლით. ხუთწლიანი გეგმის დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. ჯამდება ხუთწლედის პირველი წლის შედეგები. ახლა უკვე თვალნათლივ ჩანს, რომ თავდადებული შრომის შედეგები კარგია. მეურნეობის კოლექტივმა კვლავ გარკვეული წარმატებანი მოიპოვა, მკაცრი ჰავისა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების პირობებში მიღებულია უხვი მოსავალი.

მეურნეობის კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებული 4.360 ცენტნერის ნაცვლად აწარმოვა 6.040 ცენტნერი მარცვლეული. 23 ათასი ცენტნერის ნაცვლად აწარმოვა 30 ათასი ცენტნერი ბოსტნეული. კომუნისტ გივი მოხევიშვილის მეთაურობით ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 5 ათასი ცენტნერის ნაცვლად აწარმოვა და სახელმწიფოს მიჰყიდა 7.500 ცენტნერი ბოსტნეული, კომუნისტ ელიზბარ თათარაშვილის მეთაურობით ბრიგადამ ნაცვლად 5 ათასი ცენტნერისა — 7.200 ცენტნერი, ხოლო კომუნისტ აკაკი პატაშურის ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 4.900 ცენტნერის ნაცვლად აწარმოვა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა — 5.500 ცენტნერი ბოსტნეული. ჩვენ შემდგომშიც არ შევანელებთ ბოსტნეული კულტურებისადმი ყურადღებას. მომავალი წლისათვის გავადიდებთ ბოსტნეულის ფართობებს, გავზრდით მოსავლიანობას, ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის ზრუნვა განსაკუთრებით განპირობებულია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის სიახლოვით. მივაწოდოთ დედაქალაქის მშრომელებს ახალ-ახალი ბოსტნეული! — ასეთია ჩვენი მეურნეობის კოლექტივის შრომითი დევიზი.

მეურნეობის კოლექტივი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე მამაპაპურ ტრადიციული დარგების — მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ჩვენი ბაღები ძირითადად ახალშენია, ახლა შედის მსხმოიარობაში. კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად წელს საუკეთესო მოსავალი მივიღეთ და ხილის წარმოების გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ, მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ვერ შევასრულეთ ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. სახელმწიფოს დავაკელით 1000 ცენტნერამდე ყურძენი. გეგმის შეუსრულებლობა მარტო წლევანდელი ცუდი ამინდებით როდია განპირობებული. ჩვენი ვენახების დიდი ნაწილი მეჩხერია. ამჟამად ყველა ღონისძიებას ვახორციელებთ სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის, რაც მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მეურნეობას დიდი რაოდენობით ერიცხება აგრეთვე კოლმეურნეობისაგან გადმოცემული ვენახები, აუცილებლობა მოითხოვს მათს ამოძირკვასა და ახალი ზვრების გაშენებას. მევენახეობის განვითარებას, ჩვენ შემდგომში გადიდებით მეტი ყურადღებით მოვეკიდებით. ახალ ხუთწლედში ყურძნის წარმოებას ავიყვანთ 10 ათას ცენტნერამდე.

ჩვენი მეურნეობის წამყვანი დარგი ბოსტნეული კულტურების შემდეგ მეცხოველეობაა. ისიც დედაქალაქის სიახლოვით არის განპირობებული. ფერმების მშრომელები გულდასმით გამოეხმაურნენ წითელწყაროსა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელთა მოწოდებას. ვაწარმოოთ მეტი მეცხოველეობის პროდუქტები და გადაჭარბებით გავანაღდოთ ხუთწლედში დასახული პროგრამა და აღებული ვალდებულებანი. მეცხოველეები სიტყვას არ ღალატობენ. ათი თვის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. წლიური გეგმებიც ასევე მალე გადაჭარბებით შესრულდება. გასული 10 თვის მანძილზე უკვე ვაწარმოეთ 4.411 ცენტნერი რძე, 800 ცენტნერი ხორცი, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ხელი შეუწყო მტკიცე საკვებმა ბაზამ. წელს გეგმით გათვალისწინებული 5.340 ცენტნერის ნაცვლად დავამზადეთ 6.500 ცენტნერი უხეში საკვები. უხვად მოვიმარაგეთ წვნიანი და კონცენტრირებული საკვები.

მეურნეობის კოლექტივი პირნათლად იხდის ვალს სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მშრომელებს წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.550 ცენტნერის ნაცვლად მივაწოდეთ 1.900 ცენტნერი ხილი, გარდა ამისა, სახელმწიფოს მივყიდეთ 30 ათასამდე ცენტნერი ბოსტნეული, 3.530 ცენტნერი რძე, 560 ცენტნერი ხორცი და სხვა პროდუქტები.

ჩვენი სახელოვანი მემინდვრეები და მებოსტნეები, მევენახეები და მეცხოველეები, მეხილეები და მექანიზატორები წარმოებაში ფართოდ ნერგავენ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას, ეფექტურად იყენებენ მექანიზმებს და სასუქებს, სარწყავ წყალსა და შხამ-ქიმიკატებს, რომელთა ამის შედეგად აღწევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. მაგალითად, თვითეული ცენტნერი საშემოდგომო ხორბლის წარმოებაზე გეგმით გათვალისწინებული 8 მანეთისა და 32 კაპიკის ნაცვლად დაიხარჯა 4 მანეთი და 48 კაპიკი. გეგმასთან შედარებით ერთი მანეთით ნაკლები დაჯდა თვითეული ცენტნერი ბოსტნეულის წარმოება, ხოლო ცენტნერი ხილის წარმოება გაიაფდა 3 მანეთითა და 62 კაპიკით. ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით! — ეს არის რენტაბელობის დონის ამაღლების მთავარი გზა, მაგრამ ამ მხრივ მეურნეობის ხელმძღვანელობას პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გაცილებით მეტი მუშაობა გვმართებს.

აი ძირითადად ის, რასაც მივაღწიეთ, მაგრამ ყველაფერი ეს, რომ იტყვიან, წვეთია ზღვაში. ნატახტარის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს წინ დიდი პერსპექტივები და გადაუდებელი საზრუნავი აქვთ. მათ კარგად იციან, რომ მომავალი წლის უხვი მოსავლის საძირკველი წელს საუკეთესო აგროვადებში ჩატარებული საშემოდგომო კულტურების თესვა, ახლა მიმდინარეობს მზრალად ხვნა, გაჩაღდა ბაღ-ვენახების საშემოდგომო დამუშავება. დიდი პასუხსაგები საქმეა აგრეთვე პირუტყვის გამოზამთრება. რისთვისაც წელს განსაკუთრებით კარგად მოვემზადეთ. მეურნეობის დირექცია პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად გადამჭრელ ზომებს იღებს იმისათვის, რომ ყველა სამუშაო შესრულდეს მაღალხარისხოვნად.

ჩვენი მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკი მოძველებულია. მოსავლის აღების პერიოდში ავტომანქანების უქმარისობისა და სიმცირის გამო ეს სამუშაოები ჭიანურდება.

გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, წარმატებით განვახორციელოთ პარტიის დიადი მიზანდასახულობანი! — აი ჩვენი მომავლის ძირითადი ამოცანა.

ხ. ცოტაძე,
მცხეთის რაიონის ნატახტარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

კომკავშირული ცხოვრების ფურცლებიდან

სიძნელეებთან ჭიდილში

საკუთარ სიჭაბუკესთან შეხვედრა მეგობრის დავით კაჭკაჭიშვილის ბარათმა, რომელიც ამ დღეებში გორიდან მივიღე. ქაღალდის რამდენიმე ფურცელზე გადატანილმა მოგონებებმა თვალწინ დამიყენა ბედნიერი დღეები, როცა ჩვენ ჭაბუკები ვიყავით და კომკავშირის დუშეთის რაიკომში ვმუშაობდით.

დიახ, წერილს რომ ვკითხულობდი, მომაგონდა ოცდაათიანი წლები, თვალწინ დამიდგა იმ დროის რომანტიკა, ჩვენი ხალხის უდიდესი შრომითი გმირობა. პირველი ხუთწლედები, რომლებიც ბადებდა ათასობით გმირს. ეს იყო ჭეშმარიტად დიადი გაქანებისა და გარდატეხის წლები, რომლებმაც პარტიის ხელმძღვანელობით აღზარდეს სამამულო ომის მომავალი გმირები, აღზარდეს ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ რა იყო დაღლა და შიში. მომაგონდა კავკასიონის მთებში გავლილი ბილიკები და გზები...

რატომ არის ასე წარმტაცი და ძვირფასი ჩვენი წარსული? ალბათ იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია კომკავშირის სახელოვან საქმეებთან, დაკავშირებულია თქვენთან, ძვირფასო მეგობრებო — კომკავშირის დუშეთის რაიკომის ყოფილო მდივნებო დავით კაჭკაჭიშვილო და შალვა მჭითურო, რაიკომის თანამშრომლებო ნიკოლოზ გულაშვილო და ლაზარე ლაზრიევო, შაქრო შალაშვილო და ლიზა წიკლაურო, ბაჭია ჭინჭარაულო და ირაკლი როსტიაშვილო, ირაკლი სინჯარაძევ, ვანო ყარმაზანაშვილო, ალექსი ჯერვალიძევ, სონია დათოშვილო, კატო დუდაურო... თქვენ წლების მანძილზე ღირსეულად ამართლებდით ახალგაზრდობის წინამძღოლის საპატიო მოვალეობას. პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდით ყველას, რათა მთებში მალე დამკვიდრებულიყო ახალი, ბედნიერი ცხოვრება. და, როცა სამამულო ომმა დაიქუხა, ბევრი თქვენგანი საკუთარი სინდისის კარნახით გაეშურა ფრონტზე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა საძულველ მტერთან.

ზოგი თქვენგანი ველარ დაბრუნდა მშობლიურ დუშეთში, თქვენს გვარებს გვამცნობენ შინმოუსვლელთა ობელისკები და ფოტოსტენდები, ბევრი ჩვენგანი ატარებს თავის სხეულზე ომის სახსოვარს — სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მიღებულ ჭრილობებს, გვეამაყება, რომ ჩვენი თაობის არცერთ წარმომადგენელს არ შეურცხვენია მშობლიური კომკავშირი.

სამამულო ომის ფრონტზე სამუდამოდ დარჩა ღიმილის ბიჭი, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი ირაკლი როსტიაშვილი. 1944 წლის 12 ნოემბერს უჟგოროდის მისადგომებთან გმირის სიკვდილით დაეცა ირაკლი სინჯარაძე, რომელიც არმიაში კომკავშირის რაიკომიდან წავიდა. დიდი ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ 23 წლის შემდეგ უჟგოროდელებმა თავიანთი ქალაქის ძმათა სასაფლაოდან, სადაც ქართველი გმირი განისვენებს, ერთი მუჭა მიწა გამოუგზავნეს სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს. ისინი გულისტკივილით წერდნენ, რომ ვერ მოხერხდა დაღუპული გმირის მშობლებისა და ნათესავების მონახვა, ამიტომ ჯარისკაცის საფლავის მიწას უგზავნიან მას, ყველა ჯარისკაცის სიმბოლიური მამის გიორგი მახარაშვილის უბადლო სახის შემქმნელს.

ეჭვი არ იყო, რომ კაცმა, რომელმაც ქართველი ჯარისკაცის საფლავი შეამკო, სწორად ვერ ამოიკითხა მისი გვარი, ნაცვლად ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძისა, ქვაზე ამოკვეთილია ი. დ. ეინჯარაძე, ამან გააძნელა მისი ვინაობის დადგენა. გაირკვა, რომ უჟგოროდის საძმო საფლავზე დაკრძალულია ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძე, კომკავშირის დუშეთის რაიკომის ყოფილი თანამშრომელი.

მალე სერგო ზაქარიაძემ გმირის სამშობლო ანანურში მეომრის საფლავის წმინდა მიწა გადასცა მის ოჯახს, გაზეთებმა შემოგვინახეს დიდი მსახიობის შესანიშნავი სიტყვები: — ძვირფასო მეგობრებო, თქვა მან, — მე ანანურში ვიყავი ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ, როცა ვმონაწილეობდი კინოფილმ „გიორგი სააკაძის" გადაღებაში. ალბათ ახალგაზრდა ირაკლი სინჯარაძეც უყურებდა თავისი წინაპრების გმირობის სცენებს, იმ გმირობისა, რომელიც მან იმიერკარპატეთში გაიმეორა. უცნაურია ბედი ადამიანისა. გავიდა ოც წელიწადზე მეტი, და შესანიშნავი ქართველი მებრძოლის სახელი ცნობილი გახდა მთელ საბჭოთა კავშირში. ახლა საქართველოში არ არის კაცი, რომელმაც არ იცოდეს, რომ კარპატეთის მიწაში ასვენია ჯარისკაცი, რომელმაც თავისი გმირობით ასახელა მშობლიური ხალხი. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ღირსი გავხდი ესოდენ პატივისცემისა — მოკრძალებით ჩამებარებინა გმირის საფლავის მიწა და გადამეცა იგი მისი ოჯახისათვის. ეს პატარა ყუთი, რომელშიც მოძმე უკრაინის მიწაა, იქნება სიმბოლო მომავალი თაობებისათვის მათი მამა-პაპების უბადლო გმირობისა...

ბერლინამდე იბრძოდა მტერს რაიკომის ყოფილი მდივანი შალვა მჭითური. კომკავშირის მიერ აღზრდილ ჭაბუკს არ უღალატია მამათა გმირული ტრადიციებისათვის, არაერთხელ უსახელებია ჩვენი ხალხი მამაცობითა და ვაჟკაცობით. შალვამ მხოლოდ მაშინ დატოვა ფრონტი, როცა მძიმედ დაიჭრა, მის მკერდს ახლა ამშვენებს ცამეტი საბრძოლო ჯილდო.

ფაშისტების წინააღმდეგ სისხლიან ბრძოლებში მთავრობის შვიდი ჯილდო დაიმსახურა კომკავშირის დუშეთის რაიკომის ყოფილმა მდივანმა დავით კაჭკაჭიშვილმა, სამჯერ დაიჭრა და სამჯერვე ფრონტს მიაშურა, მხოლოდ ფაშიზმზე ჩვენი დიადი გამარჯვების შემდეგ, 1945 წლის ოქტომბერში დაუბრუნდა დავითი საყვარელ საქმეს — ამჯერად როგორც პარტიული მუშაკი.

დავით კაჭკაჭიშვილი კომკავშირის დუშეთის რაიკომში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან მოვიდა, მუშაობდა რაიკომის მდივნის მოადგილედ და პოლიტსწავლების განყოფილების გამგედ, ხოლო ერთი წლის შემდეგ რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს.

1936-1940 წლები ჩვენი ქვეყნისათვის მეტად რთული პერიოდი იყო, პარტიასა და მის ერთგულ თანაშემწეს კომკავშირს უხდებოდათ დაძაბული ბრძოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებათა შესასრულებლად, ამისათვის საჭირო იყო ყველა ძალის მობილიზაცია. სოფლად კოლექტივიზაციის განმტკიცება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, — აი მთავარი ამოცანები, რომელთა შესრულებაში დიდ როლს თამაშობდა ლენინური კომკავშირი.

მაღალი, მხრებში გაშლილი, ლაზათიანი ჭაბუკი დავით კაჭკაჭიშვილი, რომელსაც ნახევრადსამხედრო ტანსაცმელი ეცვა, ბედნიერი იყო იმის შეგნებით, რომ იგი ხელმძღვანელობდა იმ რაიონის ახალგაზრდებს, რომელთა მშობლებმა 1918 წლის ზაფხულში საქართველოში პირველად აღმართეს საბჭოთა ხელისუფლების დროშა, რომ საქართველოს კომკავშირის ფუძემდებელი ბორის ძნელაძე რამდენიმე წლის წინათ იყო პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივანი და მის ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდები, იმ პერიოდში უკვე პარტიის წევრები, ბევრს მოითხოვდნენ კომკავშირისაგან.

დავით კაჭკაჭიშვილი ახალგაზრდობის სული და გული იყო, მალე მან რაიონში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, იგი ხშირად იყო რაიონის ყველაზე შორეულ სოფლებში, გულმხურვალედ ეზიარებოდა მთელი ახალგაზრდობის ჭირსა და ლხინს.

იყო დღეები, როცა რაიკომი მართლაც დაკეტილი იყო, ჩვენ, მისი თანამშრომლები, გაფანტულები ვიყავით რაიონის ვრცელ ტერიტორიაზე საკოლმეურნეო სოფლებში, ვეხმარებოდით კომკავშირულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში, ახლოს ვეცნობოდით თვითეულ კომკავშირელს, სოფლის ყველა ახალგაზრდას.

მოგონებაში ნათელ ფურცლებად დარჩა საბჭოების არჩევნები, როცა კომკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ მასობრივ მიტინგებს დეპუტატობის კანდიდატებთან შესახვედრად, დაუვიწყარია დიდი მიტინგი ბაზალეთის ტბასთან, სადაც შეხვედრა მოვუწყეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, კომკავშირელ პედაგოგს ეკატერინე მოსიაშვილს.

ალბათ ბევრს ახსოვს, რომ საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა მილახვრიანთკარისა და ქასხევის გავლით ანანურამდე, 1938 წელს მოულოდნელად დუშეთსა და ანანურს შუა ჩამოწვა დიდი მეწყერი, დაინგრა გზები და ხიდები, საჭირო გახდა ახალი გზის გაჭრა ბაგისჭალა-ჟინვალის მიმართულებით. ეს იყო რთული და დიდად საპასუხისმგებლო საქმე, თანამედროვე ტექნიკა მაშინ არ არსებობდა, ყველაფერი კეთდებოდა ბარით და წერაქვით, კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე დაისვა საბრძოლო ამოცანა — გასულიყო ახალი გზის მშენებლობაზე, პარტიის რაიკომის მოწოდებისთანავე ფეხზე დადგა რაიონის სამთასიანი კომკავშირული რაზმი და მასობრივი შაბათობებით დიდი წვლილი შეიტანა დუშეთ-არაგვისპირის ახალი გზის მშენებლობაში.

იმავე წელს, დიდი წვიმების შედეგად, ფასანაურის მისადგომებთან ჩამოვიდა უზარმაზარი მიწის ზვავი, დაიკეტა საქართველოს სამხედრო გზა, შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა დაევალა რაიონის კომკავშირს. მთელი ორი-სამი კვირის განმავლობაში არ შეწყვეტილა ახალგაზრდობის შრომა დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, ყოველდღიურად 700-800 კომკავშირელი იბრძოდა მეწყერს და არცერთისაგან არ გაგონილა წუწუნი, ყველა შრომობდა ვაჟკაცურად, ერთსულოვნად, როგორც ეს ლენინური კომკავშირის წევრებს შეეფერებოდათ.

იმ დღეებშიც, რა თქმა უნდა, რაიკომი დაკეტილი იყო.

არასოდეს არ წაიშლება ჩვენი ხსოვნიდან დიდი სახალხო მოძრაობის თავკაცის ალექსი სტახანოვის სახე და მასთან საუბარი, კაცისა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც სტახანოვური მოძრაობის წამომწყებს, საოცარ ადამიანს. ალექსი სტახანოვი მაშინ საქართველოში სტუმრად იყო და ერთ-ერთ შაბათობაზე შეხვდა დუშელ ახალგაზრდებს და გულითადი საუბარი ჰქონდა მათთან.

მისი წასვლის შემდეგ, ყველას სურდა ემუშავა სტახანოვურად, მთელი ძალით და მონდომებით. გზის გაწმენდა ადვილი როდი იყო, მაგრამ ჩვენ გვახალისებდა და ძალას გვმატებდა იმის შეგნება, რომ ვაკეთებდით საზოგადო, საძმო საქმეს, ხალხისათვის სასარგებლო საქმეს.

რომელი ერთი გავიხსენო. ჩვენ ვიყავით დუშეთის სპორტული სტადიონის მშენებლები და „მსუბუქი კავალერიის" აქტივისტები, ვებრძოდით ბიუროკრატიზმს და ჩინოვნიკობას, ვებრძოდით წარსულის გადმონაშთებს... მართლაც რომ მეგობრის წერილმა თვალწინ დამიყენა ბედნიერი დრო, ათასი გაჭირვებით, დაბრკოლებებით და სიძნელეებით სავსე, მაგრამ მაინც ბედნიერი დრო, როცა ჩვენ კომკავშირელები ვიყავით. ჩემს თვალწინ გაიარა სიჭაბუკემ. ასეთსავე სიჭაბუკეს ვხედავ ახალ თაობაში, რომელიც მთელი შემართებით და ერთგულებით ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის საქმეს და აგრძელებს ლენინური კომკავშირის შესანიშნავ ტრადიციებს.

ამაშია ყველას და თვითეულის ბედნიერება, იმათი სიხარული, ვისაც ადრე კომკავშირელი ერქვა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის" ფოსტიდან

● **ტყიბული.** მეშახტეთა ქალაქს კიდევ ერთი ახალი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი შეემატა. ქალაქის ცენტრში გაიხსნა ხმის ჩამწერი სტუდია.

ლ. არსენიძე.

● **გორი.** ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე გაიხსნა „საქწიგნის" ახალი მაღაზია „დილა", რომელიც გაფორმებულია ჭედური და მხატვრული ხელოვნების ნიმუშებით. მაღაზიას აქვს მხატვრული, საბავშვო, ტექნიკური, სასოფლო, სამედიცინო და სხვა ლიტერატურის განყოფილებები.

რ. ჯირკველიშვილი.

● **ამბროლაური.** საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამბროლაურის სარაიონთაშორისო სანორმატივო-საკვლევი პუნქტის გამგემ თ. მელაშვილმა სოფლების წესის, სადმელის, ხვანჭკარის მხვნელ-მთესველებთან ჩაატარა საუბარი თემაზე: მეცნიერება და სოფლის მეურნეობის წინსვლის ამოცანები.

კ. რაჟველიშვილი.

როზა ლაბაძე ერთი წელია, რაც თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. იგი მკერავის პროფესიას მალე დაეუფლა და მოწინავეთა შორის ჩადგა. ცვლის დავალებებს როზა 120 პროცენტით ასრულებს. მოწინავე მუშა საამქროს კომკავშირის კომიტეტის წევრია. სურათზე: მოწინავე მკერავი, კომკავშირელი როზა ლაბაძე.

ფოტო რ. კაჭარავასი (საქტასის ფოტოქრონიკა).

სახალხო რაზმელი — წესრიგის დარაჯი

სიმშვიდის ქომაგნი

ქუთაისის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბის შენობაში რომ შეხვალთ, გულგრილად ვერ აუვლით გვერდს ლამაზად გაფორმებულ სტენდებს, საცნობარო ფურცლებს, სქემებსა და კედლის გაზეთს.

შეიძლება დაწვრილებით არ გადაქექო შტაბის „საქმიანი ქაღალდები" და მაინც თვალსაჩინო წარმოდგენა გექნეს იმ 105 სახალხო რაზმეულის საქმიანობაზე, რომლებიც ქუთაისშია შექმნილი და რომლებიც 3.000 რაზმელს აერთიანებს.

ფოტოსტენდზე წარმოდგენილია იმ რაზმეულთა მეთაურებისა და რაზმელთა პორტრეტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. მორიგეობის გრაფიკი გვამცნობს, რომ რაზმელთა მუშაობას მარშრუტების მიხედვით ამოწმებენ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრები, რომლებიც სახალხო რაზმეულების შტაბის წევრებთან ერთად ყოველდღიურად მორიგეობენ ქალაქში. კედლის გაზეთი „წესრიგის გუშაგი" განაზოგადებს და პროპაგანდას უწევს მოწინავე რაზმელთა მუშაობის დადებით გამოცდილებას.

სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბს, რომელსაც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ს. სიხარულიძე უძღვება, მჭიდრო კონტაქტი აქვს შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოსთან (უფროსი კ. შავიშვილი). ამ ბოლო დროს, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების დათვალიერების პერიოდში, კიდევ უფრო გაძლიერდა ასეთი კონტაქტები და ურთიერთმოქმედება, იწყობა მილიციის მუშაკებისა და რაზმეულების ერთობლივი რეიდები და პატრულირება.

ყოველ საღამოს, როგორც წესი, სახალხო რაზმეულები მილიციის მოტოპატრულებთან ერთად გადიან ქალაქში, ერთობლივად იწყებენ წესრიგის დაცვის საპატიო სამსახურს. ამასთან დათვალიერების პერიოდში გათვალისწინებულ იქნა წინანდელი ნაკლი, და ახლა პატრულირება სწვდება ქალაქის გარეუბნებს. შრომით კოლექტივებში, აგრეთვე მოსახლეობაში, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იკითხება ლექციები და მოხსენებები.

დათვალიერების პერიოდში რაზმეულების მუშაობაში ბევრი სიახლე დაინერგა. ჯერ ერთი, რაზმეულები შეივსო მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებით, მეორეც — გაძლიერდა სანახაობით დაწესებულებებში მასწავლებლებისა და კომკავშირული აქტივისტების მორიგეობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დათვალიერების პერიოდში შეიქმნა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მიზნობრივი დანიშნულების ჯგუფები. ახლა ქუთაისში მოქმედებს ხულიგნობის, სპეკულაციის, ბავშვთა უმეთვალყურეობის, ქურდობის, ნარკომანიისა და ტრანსპორტზე წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფები. თვითეულ ამ ჯგუფში, რომლებსაც გამოცდილი მუშაკები ხელმძღვანელობენ, 8-12 მოწინავე რაზმელია გაერთიანებული, მიზნობრივი დანიშნულების ჯგუფებს შედგენილი აქვთ პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული გეგმები და ისინი შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიულ ჯგუფებთან ერთად აწყობენ რეიდებს.

ქალაქის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ორგანოები ერთობლივ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ შემდგომ გააძლიერონ რაზმეულების ბრძოლისუნარიანობა, გააუმჯობესონ მათი მუშაობის ორგანიზაცია.

ყოველმხრივი მოწონებისა და მხარდაჭერის ღირსია, მაგალითად, ინიციატივა ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტისა (თავმჯდომარე ო. სურგულაძე), რომელმაც სახალხო რაზმეულების შტაბთან ერთად მოაწყო საწარმოების სახალხო რაზმეულების შეკრება, რომლის მონაწილეებმა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის თაობაზე მოისმინეს ქალაქის პროკურორის ა. ჟღენტის მოხსენება. ამავე შეკრებაზე მოხდა მოწინავე რაზმეულებისა და რაზმელების დაჯილდოება.

ასე მიზანდასახულმა მუშაობამ კიდევ უფრო აამაღლა სახალხო რაზმეულების პასუხისმგებლობა.

დათვალიერების პერიოდში ისე გააქტიურდა რაზმეულების მუშაობა, რომ ახლა საქალაქო შტაბში უმოქმედობაზე ვერავის უჩივიან. სამაგიეროდ ათობით მოწინავე რაზმელს დაგვისახელებენ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საავტომობილო, სატრაქტორო, ლითოფონისა და მინის ტარის ქარხნების, აბრეშუმკომბინატის, მაუდისა და ავეჯის ფაბრიკების, ქუთაისის ვაჭრობის, აბანო-საპარიკმახეროების ტრესტის, მე-7, 21-ე და 31-ე სკოლების სახალხო რაზმეულებმა.

მრავალთაგან შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ფაქტი, რომლებიც ცხადყოფენ სახალხო რაზმეულთა მიერ განხორციელებულ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ეფექტიანობას.

ლითოფონის ქარხანაში დათვალიერების პერიოდში შეიქმნა სახალხო რაზმეულის სპეციალური შიდასაწარმოო ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრებმა ჯ. არსენიძემ და დ. სოფრომაძემ ქარხანას უკანვე დაუბრუნეს 50 კილოგრამი შაბიამანი, რომელიც ზედმეტად მიჰქონდათ მომხმარებლებს. მაუდის ფაბრიკის სახალხო რაზმელებმა შ. ძოწენიძემ და ლ. ხაბეიშვილმა შენიშნეს და ადგილზევე დააკავეს სახელმწიფო ქონების დამტაცებელი შ. ნემსიწვერიძე, რომელიც ცდილობდა ფაბრიკიდან გაეტანა მის მიერ მოპარული ნართი. [illegible] სახალხო რაზმელების ქ. კუჭავასა და გ. ფაილოძის შეცადინეობით მთვრალი მოქალაქეები გ. ლობჟანიძე და ა. ჯინჭარაძე შინაგან საქმეთა სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში წარადგინეს.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება აბანო-საპარიკმახეროების ტრესტის სახალხო რაზმეულზე, რომელსაც ამავე ტრესტის მმართველი გ. ფურცხვანიძე მეთაურობს. მიმდინარე წლის 5 სექტემბერს სახალხო რაზმელმა მექანიკოსმა დ. კვანტალიანმა შენიშნა, რომ უცნობი პირები მოქალაქე ს. ჟორჟოლიანს სცემდნენ. ის იყო კიდევაც ფული ამოაცალეს, რომ სახალხო რაზმელი და რაზმეულის მეთაური გ. ფურცხვანიძე დამნაშავეებთან მიიჭრნენ, ალაგმეს ისინი და აიძულეს ხელიდან გაეშვათ მსხვერპლი, დაუბრუნეს მისთვის წართმეული 160 მანეთი. და კიდევ 1 ოქტომბერს ამავე ტრესტის სახალხო რაზმელებს გ. ჯოჯუას, შ. კაპანაძეს და უ. ძნელაძეს მათთვის ჩაბარებულ უბნებში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მთვრალი მოქალაქეები ვ. დოხამინჯია და ზ. ენუქიძე, რომლებიც ხულიგნობდნენ. რაზმელებმა წესრიგის დამრღვევნი სხვადასხვა დროს წარადგინეს მილიციის განყოფილებაში.

და რაც უფრო აქტიურობენ სახალხო რაზმელები, მით უფრო კლებულობს ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შემთხვევები, რომელთა ოდენობა დათვალიერების დაწყებიდან განვლილ ორნახევარ თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი მესამედით შემცირდა.

ფხიზლად მიაბიჯებენ ქუთაისის ქუჩებში და მოედნებზე სახალხო რაზმელები, რომელთა სახით ქალაქში მიაბიჯებს წესრიგი, სიმშვიდე და მყუდროება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რუსული სიტყვის დიდება

თ. დოსტოევსკის დაბადების 150 წლისთავი

დოსტოევსკი იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა სახელი და მნიშვნელობა მათი სიკვდილის შემდგომ უფრო იზრდება, სანამ კაცობრიობის გიგანტებს არ გაუთანაბრდება. შექსპირი და დანტე, სერვანტესი და რუსო, გოეთე და ტოლსტოი — აი ის რიგი, რომელშიც თავისი ადგილი დაუმკვიდრებია დოსტოევსკის — ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მწერალს მსოფლიოში.

განუმეორებელი თვითმყოფადობა, ანალიზის სიღრმე და მწვავე თანადროულობა ის თვისებებია, რასაც მის შემოქმედებაში თანამედროვე მკითხველი პოულობს. დოსტოევსკი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. მის მიერ ასახულია ისტორიული მნიშვნელობის მისწრაფებანი და განწყობილებანი, დასმულია ადამიანთა ყოფის ძირეული საკითხები.

დოსტოევსკი იმ მწერალთაგანია, რომლებმაც გვაჩვენეს ბურჟუაზიული სამყაროს ნამდვილი სახე და გვაგრძნობინეს ადამიანთა მიმართ მისი მტრობის სიმწვავე. კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ მიმართული პათოსი მძლავრად არის გამოვლენილი დოსტოევსკის მთელ მემკვიდრეობაში.

დოსტოევსკის მისწრაფება საყოველთაო ძმობისადმი, საერთო საკაცობრიო ჰარმონიის იდეალისადმი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ჰუმანიზმთან, მის სურვილთან, — ეპოვა არა მხოლოდ „ადამიანი ადამიანში", არამედ უფრო მეტიც — „აღედგინა ადამიანში ადამიანური სახე". ამიტომ თამაშობს დოსტოევსკი დიდ როლს კაცობრიობის ახალ თაობათა სულიერ ცხოვრებაში.

დოსტოევსკის საუკეთესო თხზულებანი ქადაგებენ ტანჯული ადამიანისადმი თანაგრძნობასა და დახმარებას, სიწმინდისა და უანგარობის მაღალ იდეალს, ზნეობრივ და ესთეტიკურ მაქსიმალიზმს, გაბედულად სწვდებიან ადამიანთა სულის უღრმეს ხვეულებს, რომელთა თავმოყვარეობა ცხოვრების მიერ შებღალულია.

დოსტოევსკის შემოქმედება მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტორია. მისთვის დამახასიათებელია დაძაბული ფიქრი და მსჯელობა იმ გზების თაობაზე, რომლებითაც მომავალში ივლის არა მარტო რუსეთი, არამედ ევროპა და მსოფლიოც. 1849 წლამდე დოსტოევსკის ამოძრავებს ინტერესი უტოპიური სოციალიზმისადმი. ხოლო ამის შემდეგ, რაც დაიმსხვრა ევროპული ლიბერალიზმის იდეალები, მწერალი ცდილობს დაამკვიდროს თავისი უტოპია მომავალი მართლმადიდებლური რუსეთის შესახებ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მასში მკაფიოდ ჩანს დასავლეთის ხალხებთან ერთიანობის მწვავე გრძნობის გაძლიერება და მათი კულტურის ბედით დაინტერესება.

მომავლის საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია დოსტოევსკის შემოქმედებაში. მისი ოცნებაა მომავლის იმგვარი საზოგადოება, რომელიც აბედნიერებს ყველას, ხელს უწყობს ადამიანების ნიჭთა და შესაძლებლობათა ყოველმხრივ განვითარებას და განსულიერებულია ზნეთაგონებით.

დასავლეთის ზოგიერთი თანამედროვე ლიტერატორი დოსტოევსკის სახავს როგორც თანამედროვე ეგზისტენციალიზმის წინამორბედს. მაგრამ ეს საკითხისადმი ანტიისტორიული მიდგომაა. თუ ეგზისტენციალისტ მწერალთა გმირები ჭეშმარიტ არსებობას თითქოს მაშინ აღწევენ, როცა იმ სამყაროდან თავისუფლდებიან, რომელთანაც მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან, დოსტოევსკის გმირებისათვის სწორედ განცალკევება, სამყაროსთან კავშირის გაწყვეტაა ტრაგედიის წყარო.

დოსტოევსკი დიდი ჰუმანისტური რუსული ლიტერატურის არა მარტო ორგანული და განუყოფელი ნაწილია, არამედ მოკავშირეც არის იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ამცირებს და ასახიჩრებს ადამიანს.

მკაფიოდ და ნათლად უნდა ითქვას: დღეს დოსტოევსკი ჩვენთვის მოკავშირეც არის და მოწინააღმდეგეც. მოკავშირეა, როგორც ადამიანთა შეურაცხყოფისა და ჩაგვრის მტერი, ადამიანთა თავისუფალი განვითარების დროშა, მომავლის ჰარმონიული საზოგადოების მოიმედე; და მოწინააღმდეგეა, როგორც ამ დიადი მიზნის მისაღწევად რევოლუციური გზებისა და მეთოდების უარმყოფელი, მოთმინებისა და მორჩილების ამაოდ მქადაგებელი.

ფიოდორ მიხეილის-ძე დოსტოევსკის (1821-1881) ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ადამიანურ და მწერლურ ბედზე, უეჭველია, დიდი გავლენა მოახდინა იმ მძიმე ატმოსფერომ, რომელიც ოჯახში სუფევდა. შემდეგ იყო მორცხვი და თავმოყვარე ყმაწვილის ლიტერატურით გატაცება. პირველ რომანზე თეთრად გათენებული ჩრდილოეთის პალმირის მართლაც თეთრი ღამეები და დიდი გამარჯვების [illegible] სიხარული. პირველ რომანს „საბრალო ადამიანებს" აღტაცებით შეხვდა მაშინდელი რუსული მწერლობის აზრთამპყრობელი ბელინსკი და მთელი მკითხველი საზოგადოება. დოსტოევსკი მომავალზე ოცნებობს, გაფაციცებულად შრომობს, მის გონებაში ჩნდება ახალ თხზულებათა ჩანაფიქრი ტრიალებს და მწერლურ გეგმებთან ერთად მატერიალური კეთილდღეობის პერსპექტივები, სიღატაკიდან თავის დაღწევისა და ნათესავებში ჩამორიგებული და-ძმების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. მაგრამ ახალგაზრდა მწერლის იმედები იმსხვრევა. პეტრაშეველთა წრეში მონაწილეობისათვის 1849 წელს მას აპატიმრებენ და კატორღაში გზავნიან.

1859 წლამდე დაჰყო დოსტოევსკიმ ციმბირში, ოთხი წელი მძიმე საკატორღო სამუშაოებზე გაატარა, დამამცირებელი სალდათობაც იწვნია და ნამდვილ ბოროტმოქმედთა სულის ღრმა უფსკრულებშიც ჩაიხედა. ყირიმის ომში სასტიკი კრახის შემდეგ, როდესაც რუსეთში ხალხის მოძრაობით დაშინებული მთავრობა „დიდი რეფორმების" გზას დაადგა, „ნაპატიები" დოსტოევსკი პეტერბურგში დაბრუნდა და აქტიურ ლიტერატურულ-ჟურნალისტურ მუშაობაში ჩაება. განსაკუთრებით გაიზარდა დოსტოევსკის პოპულარობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, „მწერლის დღიურის" პერიოდულ გამოცემასთან დაკავშირებით.

დოსტოევსკის იდეათა გავლენა რუსეთის თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე ნათლად მაშინ გამოვლინდა, როდესაც მან წარმოთქვა ცნობილი სიტყვა პუშკინის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებულ ზეიმზე მოსკოვში 1880 წელს. ამ სიტყვას უდიდესი წარმატება ჰქონდა. დოსტოევსკი გამოვიდა მოწოდებით, რომ შერიგებულიყვნენ რუსეთის საზოგადოების ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ბანაკები. შერიგების დროშად მან პუშკინი გამოაცხადა და ხალხის უკეთესი მომავლის გზად რეაქციასთან ბრძოლა კი არ აღიარა, არამედ მოწინააღმდეგეთა შერიგება და ქრისტიანული ძმობის გამარჯვება.

ეს იყო დოსტოევსკის უკანასკნელი დიდი გამოსვლა რუსეთის საზოგადოების წინაშე. 1881 წ. იანვარში იგი გარდაიცვალა. დოსტოევსკის ბედი, როგორც ადამიანისა, ღრმად ტრაგიკულია. ბავშვობის მძიმე განცდები, წუთები, როცა დასახვრეტად იყო გაყვანილი, უკურნებელი ავადმყოფობა, კატორღისა და სალდათობის საშინელი წლები, მუდმივი სიღატაკე და ლუკმაპურზე ფიქრი — ყველაფერი ხელს უწყობდა იმას, რომ მწერალი სულიერად გატეხა, დაეჩოქებინა და არსებულ სინამდვილესთან შეერიგებინა. დოსტოევსკიმ ყოველივეს გაუძლო. რეაქციის გამარჯვება მასზე არასოდეს არ ყოფილა სრული, იგი ბოლომდე ვერ მოერია შესანიშნავ მხატვარს, დიდ მწერალ-ჰუმანისტს და მოაზროვნეს, რომლის სულში ყოველთვის ენთო უდიდესი სიყვარულის ლამპარი დაჩაგრულ ადამიანთა მიმართ.

პირველი რომანი დოსტოევსკისა „საბრალო ადამიანები" ღრმად ჰუმანური და დემოკრატიული მიმართულების ნაწარმოები იყო. მწერალი აგრძელებდა თავისი დიდი წინამორბედების პუშკინისა და გოგოლის მამხილებელ, უბრალო ადამიანებისადმი ფაქიზი სიყვარულით გამსჭვალულ ხაზს. ეპოქის თავისებურებათა გავლენით დოსტოევსკი აღრმავებდა და ავითარებდა რუსული ლიტერატურის ამ შესანიშნავ ტრადიციას.

დოსტოევსკი გვაჩვენებს, რომ რუსეთის ბრწყინვალე დედაქალაქის, პეტერბურგის, მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს გამოუვალ სიღარიბეში ჩავარდნილი „საბრალო" ადამიანები შეადგენენ, რომ ისინი, ცხოვრების სიდუხჭირით დაჩაგრულნი, მდიდართა დაცინვის, ჩაგვრის და აბუჩად აგდების ობიექტები არიან. მათი ყოფა მძიმე და გამოუვალია. პეტერბურგის ბნელ ჯურღმულებში ჩაცვივნულნი, ისინი უსამართლო საზოგადოებრივი წყობის, ბიუროკრატიული სისტემის სამსხვერპლოზე არიან მიტანილნი. ამავე დროს ნაწარმოებიდან მკაფიოდ გამოსჭვივის, რომ მათი ადამიანური ღირსება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე გაბატონებული კლასების წარმომადგენლებისა. მძიმე ცხოვრების მიუხედავად, მათ არ დაუკარგავთ არც თავმოყვარეობა და არც სულიერი სისპეტაკე.

ბელინსკის მაღალი შეფასება სწორედ იმან გამოიწვია, რომ ახალგაზრდა ავტორის პირველ რომანში ნაჩვენები იყო უბრალო ადამიანთა სულიერი სილამაზე, სისპეტაკე და კეთილშობილება, მათი უპირატესობა მდიდრებთან შედარებით. მაგრამ მალე დოსტოევსკისა და ბელინსკის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რაც გამოწვეული იყო მწერლის შემდგომი ნაწარმოებების ხასიათით. მათი უთანხმოება თანდათანობით მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობად იქცა. ლიტერატურის მთავარ ამოცანად ბელინსკის მიაჩნდა ბრძოლა თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, რევოლუციური და სოციალისტური იდეების პროპაგანდა, რასაც ჩვეული პირდაპირობით უქადაგებდა დოსტოევსკის. მწერალი კი თავის მხრივ უსაყვედურებდა კრიტიკოსს, რომ იგი ცდილობს ლიტერატურას „ერთი, შეუფერებელი" დანიშნულება მიანიჭოს. მიუხედავად ამ უთანხმოებისა, დოსტოევსკის კავშირი 40-იანი წლების რუსეთის საზოგადოების ყველაზე მოწინავე ბანაკთან არ იყო გაწყვეტილი, რასაც მოწმობს მისი მონაწილეობა პეტრაშეველთა რევოლუციურ წრეში.

კატორღაში ყოფნისას დოსტოევსკის მსოფლმხედველობაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა, რომელმაც ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ იგი რეაქციონერთა ბანაკს დაუახლოვა. ამ გარდატეხის მიზეზები არა მარტო მწერლის პიროვნულ თვისებებში უნდა ვეძიოთ, არამედ ძირითადად იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი მოვლენების სირთულეში. მწერლის გადასახლების პირველი წლები დაემთხვა რუსეთში რეაქციის გამძვინვარების პერიოდს. ეს იყო 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი ეპოქა, როდესაც იმსხვრეოდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ილუზიები. ამას დაემატა თვით დოსტოევსკის მერყეობა, რამაც იგი მიიყვანა პოლიტიკური ბრძოლის უნაყოფობის აღიარებამდე და კლასთა შერიგების იდეამდე.

ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც დოსტოევსკიმ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა, იყო „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან" (1860-1861), რომელიც დიდი ძალით გვიჩვენებს დოსტოევსკის შემოქმედებითი გენიის მრავალ მხარეს. ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობამ მწერლის სულში მაღალი, ჰუმანისტური იდეალები გამოაღვიძა. კატორღელების ჩვენებისას დოსტოევსკი მიგვანიშნებს, რომ მათი უმეტესობა იქ მოხვედრილია ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გამო, ხომ უსაზღვროდ იტანჯება ადამიანი კატორღაში, მაგრამ უფრო უარეს ჩაგვრას განიცდის იგი „თავისუფალ" ცხოვრებაში, როდესაც კლასობრივი ჩაგვრის მარწუხებში მოექცევა — ამგვარია ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი იდეა.

იმ პერიოდის მეორე ნაწარმოებია რომანი „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი" (1861), რომლის მოქმედება წარმოებს პეტერბურგში 50-იანი წლების დასასრულს, კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდისა და განვითარების პერიოდში. სწორედ კაპიტალიზმის შედეგები იწვევს მწერალში ტრაგიკულ გრძნობებს. მთელი რომანი გამსჭვალულია ავტორის მიერ ასახული სოციალური წყობის დისჰარმონიული, არაადამიანური ხასიათით. რომანის მთავარ გმირთა ცხოვრებას დოსტოევსკი გვიჩვენებს დიდი ქალაქის ღარიბ-ლატაკთა ყოფის ფართო ფონზე. მკითხველის წინაშე გაივლის მრავალი ფიგურა დეკლასირებული, ცხოვრების მიერ გასრესილი ადამიანისა. მწერალი გვიხატავს პეტერბურგის მძიმე და პირქუშ ცხოვრებას, მის სასტიკ სოციალურ წინააღმდეგობებს.

ამ რომანიდან დაწყებული დოსტოევსკი თემებად იღებს ადამიანის, ოჯახის, საზოგადოების ტრაგიკულ ზნეობრივ დაცემას და გახრწნას, რაც გამოწვეულია კაპიტალიზმის განვითარებით. მაგრამ კაპიტალიზმით გამოწვეული ლპობისა და სოციალური დეგრადაციის გენიალურად ჩვენებისას დოსტოევსკი თავისებურად ხსნიდა მათს მთავარ მიზეზს. იგი თვლიდა, რომ საზოგადოება ავადმყოფი იყო, რომ მან დაკარგა ის მორალური საფუძველი, რომელსაც რელიგია იძლევა. ერთადერთ ხსნას იგი ხედავდა იმ რელიგიური რწმენის დაბრუნებაში, რომელიც ხალხში იყო შენახული და ყველას „განაპეტაკებდა". დოსტოევსკის აზრით რელიგია იძლევა იმ მყარ მორალურ საყრდენს, რომელიც იხსნის ადამიანს დამღუპველი ინდივიდუალისტური ფილოსოფიისა და მორალისაგან.

1866 წელს გამოქვეყნდა დოსტოევსკის საყოველთაოდ ცნობილი რომანი „დანაშაული და სასჯელი", რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუპოვა. იგი ფსიქოლოგიური ისტორიაა დანაშაულისა და მისი ზნეობრივი შედეგებისა. რასკოლნიკოვი ჩვეულებრივი დამნაშავე როდია, დანაშაულს იგი მის მიერ შექმნილი ფილოსოფიური თეორიის გავლენით სჩადის, თვით დანაშაულს რასკოლნიკოვი განიხილავს როგორც ამ თეორიის სიმართლის შემოწმებას. ამ თეორიის მიხედვით ძლიერ პიროვნებას უფლება აქვს ჩაიდინოს ბოროტმოქმედება, რაც არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი იქნება. რასკოლნიკოვის აზრით, იმ პირობებში, როცა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ადამიანები უმიზეზოდ იღუპებიან, სიმდიდრე კი თავმოყრილია რამდენიმე მევახშის და მდიდრის ხელში, რომელთა ცხოვრება მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს, ასეთი თეორია გამართლებულია. მთელი რომანის მანძილზე დოსტოევსკი მკითხველს უჩვენებს, რომ მცდარია რასკოლნიკოვის თეორია, რომ ჩადენილი დანაშაული სრულიადაც არ წააგავს იმას, რასაც ახალგაზრდა სტუდენტი თავის თეორიულ წარმოდგენაში გამართლებას უძებნიდა. მოხდა პირიქით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რასკოლნიკოვმა მძიმე სულიერი დეპრესია განიცადა. მას სურდა ბებერი მევახშის მოკვლა, სინამდვილეში კი თვითმკვლელობა გამოუვიდა. აი ამიტომ საკუთარ თავთან ხანგრძლივი ბრძოლისა და თვითმართლების მრავალი ცდის შემდეგ, სონია მარმელადოვას რჩევით, იგი აღიარებს დანაშაულს.

რომანი „იდიოტი" (1868) დოსტოევსკის ერთ-ერთი რთული ნაწარმოებია. მწერალს სურდა, რომ ამ რომანში უფრო მეტად გამოეხატა თავისი დადებითი იდეალები, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში. სინამდვილეში კი სწორედ „იდიოტში" დაგვანახვა მწერალმა ასკეტური იდეალების სისუსტე. თავადი მიშკინი, რომელიც ჩაფიქრებული იყო როგორც „დადებითი, მშვენიერი ადამიანის" ტიპი, რომანში მოგვევლინა სუსტ, ღრმა შინაგანი ტკივილებითა და ტანჯვით შეპყრობილ კაცად. მიშკინს არ შეუძლია გადაჭრას არც ერთი რეალური, ცხოვრებისეული წინააღმდეგობა, იგი პასიურად ჭვრეტს ცხოვრებას, გრძნობს მის ტრაგიკულ ხასიათს, გრძნობს, რომ მას არაფრის შეცვლა არ ძალუძს. მიუხედავად იმისა, რომ დოსტოევსკის გმირი აღჭურვილია მოვლენების ღრმა გაგებით, გულთამხილაობითაც კი, იგი არსებითად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ცხოვრებაზე, ვერ ეხმარება ნასტასია ფილიპოვნას, ვერ გადაარჩენს მას რაგოჟინის დანისაგან (ამ მკვლელობას იგი წინასწარ გრძნობს), ვერ შველის აგლაიას ჩიხიდან გამოსვლაში და საბოლოოდ, თვითონ ჭკუიდან იშლება. ავტორი თვით აღიარებს ქრისტიანული იდეალების კრახს, გმირის პრაქტიკულ უძლურებას ცხოვრებასთან ყოველგვარი შეჯახების დროს. დოსტოევსკის „იდეალურ" გმირს ცხოვრება ამარცხებს. დოსტოევსკიმ საბოლოოდ მოგვცა სურათი სახარების იდეალების სრული უმწეობისა იმ სინამდვილის წინაშე, რომელსაც იგი კვლავ აკრიტიკებს გენიოსი მხატვრის ძალით.

სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დოსტოევსკიმ სამი დიდტანიანი რომანი შექმნა — „ეშმაკნი", „მოზარდი" და „ძმები კარამაზოვები".

მწერლის მხატვრულ ქმნილებათა შორის „ეშმაკნი" (1871-1872) ყველაზე მეტად შეიცავს რეაქციულ ტენდენციებს. მართალია, მან მასში დაგმო ნეჩაევშჩინის ანარქისტულ-ავანტურისტული მეთოდები, მაგრამ მწერლის შეცდომა ის იყო, რომ ვერ დაინახა არსებითი სხვაობა, იდეოლოგიური უფსკრული ანარქისტებსა და ჭეშმარიტ რევოლუციონერებს შორის. ობიექტურად რომანი მიმართული იყო 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ამ რომანში, ისე როგორც დოსტოევსკის სხვა ნაწარმოებებში, დიდი ოსტატობით არის მოცული ღრმა და რეალისტური სახეები და ტენდენციები, რომლებიც წინააღმდეგობაშია ნაწარმოების მთავარ იდეურ მიმართულებასთან.

„მოზარდში" (1874) დოსტოევსკი კვლავ მიუბრუნდა თავისი თანამედროვეობის დიდ სოციალურ, ნამდვილად სასიცოცხლო თემებს. ანტიკაპიტალისტური პათოსი ამ ნაწარმოებში უმაღლეს წერტილს აღწევს. „მოზარდის" თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური თემა გამოვლინებულია ნაკლებად მისტიფიცირებული, პირდაპირი და უშუალო სახით. მწერალს უპირველეს ყოვლისა, თვით ობიექტური სინამდვილე აღელვებს. მისი მთავარი ინტერესი მიმართულია ეპოქის დამახასიათებელი ნიშნების გარკვევაზე. პოლემიკა რევოლუციურ მოძრაობასთან მეორეულ პლანზეა გადაწეული. რომანში მოცემულია სოციალური სინამდვილის მკაფიო სურათი, ახლად დამკვიდრებული ბურჟუაზიული საზოგადოების მრავალი ტიპიური თვისება. ბურჟუაზიული მტაცებლობა რუსეთის სწრაფი კაპიტალიზაციის პირობებში იწვევს დოსტოევსკის მგზნებარე პროტესტს, გართულებულს ასეთივე ძალის სასოწარკვეთილებით. რომანის მთავარი გმირის სახით მოცემულია მოზარდი კაცის სულის ისტორია, მოზარდისა, რომელსაც კაპიტალიზმის უთვალავი „ეშმაკები" ანარქიზმისკენ, ცხოვრებისეული ცდუნებებისაკენ და, საბოლოოდ, ზნეობრივი გახრწნისა და დაცემისაკენ უბიძგებენ. მოზარდი თანაგრძნობას იწვევს თავისი გულწრფელობით, იდეალის ძიებით, ცდუნებებზე უარის თქმით. მისი ტრაგიზმი სიმარტოვეში, უმწეობაში, დაბნეულობაშია, იმის არცოდნაშია, სად უნდა ეძებოს ის იდეალები, რომლებიც მტაცებლური საზოგადოების „ეშმაკეულ ცდუნებებს" დაუპირისპირდებიან.

დოსტოევსკის უკანასკნელი რომანია „ძმები კარამაზოვები" (1879-1880), რომელიც მწერლის შემოქმედების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში მძლავრად არის გამოხატული დოსტოევსკის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ფილოსოფიური შეხედულებანი და მხატვრული ძიების პრინციპები. სინამდვილის ასახვის მასშტაბით, ფსიქოლოგიური ანალიზისა და დაყენებული პრობლემების სიღრმით „ძმები კარამაზოვები" დოსტოევსკის ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნება. ისე როგორც „დანაშაულმა და სასჯელმა", ამ რომანმაც თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით ღრმა გავლენა მოახდინა რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

დოსტოევსკის აზრი იდეალისტური ფილოსოფიის ორი ნაირსახეობით, ამორალიზმისა და სისასტიკის ორი გამოვლინებით იყო დაინტერესებული. ერთი მხრით, ეს არის ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ამორალიზმი და სისასტიკე და მწერლის მიერ წინასწარ განჭვრეტილი „ზეადამიანის" იდეა; მეორე მხრით, — ამორალიზმი და სისასტიკე რელიგიისა, რომელიც ამართლებს ცხოვრების ყოველგვარ ბოროტებას. დოსტოევსკი გრძნობდა ამორალიზმის ორივე ნაირსახეობის ცინიზმს, ამიტომ ჩართო მან პირადი მგზნებარება ივანე კარამაზოვის ჯანყში, რომელიც რელიგიას სწორედ ამორალიზმში ადანაშაულებდა. ა. ლუნაჩარსკის სწორი შენიშვნით, ივანე კარამაზოვის ფორმულა „ღმერთს კი ვაღიარებ, მაგრამ სამყაროს მისას უარვყოფ", უეჭველად ამსხვრევს თვით ღმერთის იდეასაც, რადგან ღმერთი მხოლოდ გამოვლენილი სამყაროთია ცნობილი. ღმერთი — საწყისი ყოვლისა, შემქმნელი იმ ტანჯვის სამყაროსი, რომლის სისხლიან ცრემლებში ცურავს დოსტოევსკის ტანჯული სული, მიუღებელია, როგორც სამართლიანობის განსახიერება.

რომანის სწორედ ერთ-ერთ ცენტრალურ თავში, „ჯანყში", გამოვლინდა დოსტოევსკის უძლეველი გენიალობა. აქ შეკრიბა მან პროტესტის, აღშფოთების მოტივები, რომლებიც მთელ მის შემოქმედებაშია გაბნეული. საწინააღმდეგოდ იმ აჩემებული საკლესიო „კეთილგანმზრახველობისა", რომელიც ამახინჯებდა და ასუსტებდა მწერლის მხატვრულ ძალას, აქ იგი ამსხვრევს ყოველგვარ ბორკილებს და ამბოხებას აწყობს ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ. ამ ადგილის ყოველი სტრიქონი მართლაც საკუთარი სისხლით არის დაწერილი. მთელი კაცობრიობის წინაშე ხმამაღლა გამოთქვამდა დოსტოევსკი თავის ფიქრებს, დაჰკითხავდა საკუთარ სინდისს და უპასუხებდა კიდეც სიმართლის უდიდესი ძალით. კაცობრიობის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება დოსტოევსკის ამბოხება, როდესაც იგი, შეძრწუნებული, აყენებს ბავშვის ტანჯვის პრობლემას. მან დროშასავით აღმართა ცხოვრებაში გაწამებული საკაცობრიო ბავშვის სახე და მკაცრი კითხვა დასვა: რა ჰარმონია უნდა შეიქმნას მომავალში, რომ ეს ტანჯვა გამართლებული იქნას? ეს არის შეურიგებლობა კაცობრიობის ტანჯვის მიმართ, რომელსაც ყოველგვარი რელიგიური მორალი ამართლებს!

დოსტოევსკის ამბოხების თემა უზარმაზარია. მასში ამორალურად გამოცხადებულია მიტევება და შეწყალება ბოროტმოქმედებისა კაცობრიობის სინდისის წინაშე; მასში პროტესტია იმ „ჰარმონიის" წინააღმდეგ, რომელიც ამართლებს ქვეყნად არსებულ ჭუჭყს, დანთხეულ სისხლს და დაღვრილ ცრემლებს; მასში გამოვლენილია ღრმა და დიადი, თან მწუხარებით შეფერილი ზრუნვა მთელ კაცობრიობაზე, და რა სუსტია თვით დოსტოევსკის ცდა როგორმე უარყოს მის მიერვე წამოყენებული თეზისი ადამიანისათვის რელიგიის მაინც აუცილებლობის მტკიცებით!

სიმართლე, რომელიც ობიექტურად არის გამოვლენილი დოსტოევსკის თხზულებებში, უნდა განიწმინდოს იმ სიყალბისაგან, რასაც ძველი სამყარო თავზე ახვევდა მწერლის მეთოლვარე სულს. სიმართლე სიმართლედ რჩება.

• • •

კაცობრიობა გვერდს ვერ აუვლის მწერალს, რომელმაც თავის სულში შეიწოვა ადამიანთა ტკივილი და ტანჯვა. და, მიუხედავად თავისი დროის ოფიციოზური სიყალბისა, მიუხედავად მსოფლმხედველობის სუსტი მხარეებისა, ჰპოვა ძალა უდიდესი პროტესტი გამოეთქვა ადამიანის დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ.

დღევანდელი პროგრესული მსოფლიო ღირსეულად აფასებს დოსტოევსკის ღვაწლსა და დამსახურებას. მის მიერ დაყენებული პრობლემები მანამდე არ დაკარგავენ აქტუალობას, სანამ ამ ქვეყნად არსებობს ჩაგვრა, ძალადობა, ჩაგრული და მჩაგვრელი. ეს პრობლემები ობიექტურად მომავლის დიადი უკლასო საზოგადოებისაკენ მოგვიწოდებენ.

თენგიზ ბუაჩიძე.

მსოფლიო დღეს

ინდირა განდის პრეს-კონფერენცია

პარიზი, 10 ნოემბერი. (საქტაგი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაცხადა, რომ მისმა მოლაპარაკებამ პრეზიდენტ პომპიდუსთან და პრემიერ-მინისტრ შაბან-დელმასთან „ხელი შეუწყო ინდოეთის წინაშე მდგომი პრობლემების უკეთ გაგებას". „მაგრამ სრულიად ბუნებრივია, — თქვა მან, — რომ არ შეიძლება სავსებით დაემთხვეს ერთმანეთს შეხედულება იმ ქვეყნისა, რომელსაც უშუალოდ ეხება ინდოსტანის ნახევარკუნძულის ამბები, და ქვეყნისა, რომელიც შორს არის ამ ამბებისაგან".

ინდირა განდიმ დაადასტურა თავისი წინანდელი განცხადება, რომ მზად არის შეხვდეს პაკისტანის პრეზიდენტ იაჰია ხანს, და ხაზი გაუსვა, რომ აღმოსავლეთ პაკისტანის პრობლემა არ არის ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადავო პრობლემა. მან განაცხადა: „აღმოსავლეთ ბენგალიის პრობლემა უნდა მოწესრიგდეს დასავლეთ პაკისტანის სამხედრო რეჟიმსა და აღმოსავლეთ ბენგალიის არჩეულ წარმომადგენლებს შორის".

გასტროლები ნეპალში

კატმანდუ, 10 ნოემბერი. (საქტაგი). ნეპალის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო საბჭოთა მსახიობების ჯგუფმა, რომელიც კატმანდუში ჩამოვიდა.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცნობილი ანსამბლი „ორერა" და მოსკოვის ესტრადის წამყვანი წარმომადგენლები.

გაზეთი „რაიზინგ ნეპალი" და „გორხაპატრა" პირველ გვერდზე ბეჭდავენ საბჭოთა მსახიობების ფოტოსურათებს.

გაზეთები იუწყებიან საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა მომავალი კონცერტების შესახებ, აღნიშნავენ, რომ ეს კონცერტები ეწყობა ორი ქვეყნის კულტურული და მეცნიერული გაცვლის პროგრამის შესაბამისად.

აწამებენ პატიმრებს

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საქტაგი). ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ ირლანდიაში ფართოდ მიმართავენ პოლიტიკურ პატიმართა წამებასა და ცემას ლონდონში გამოქვეყნებული „ამნისტიის" ორგანიზაციის მოხსენების თანახმად. მას აქვს 25 [illegible] პატიმრის წერილობითი განცხადებანი.

მიმდინარე წლის სექტემბერსა და ოქტომბერში „საგანგებო უფლებამოსილების" კანონის საფუძველზე დაპატიმრებული პირნი აცხადებენ, რომ ისინი აწამეს ელექტრონითა და ნარკოტიკებით.

დაკითხვის ერთ-ერთი ბარბაროსული მეთოდი, პოლიტიკურ პატიმართა თქმით, ის არის, რომ ადამიანს აიძულებენ ხელის თითებით მიეყრდნოს კედელს და ფართოდ გაშალოს ფეხები. ამ მდგომარეობაში დაკითხული რამდენიმე საათს ჰყავთ და თავში ურტყამენ ხელკეტებს. თუ პატიმარი შეეცადა პოზის შეცვლას, მას სასტიკად სცემენ. ამ დაკითხვების დროს პატიმრებს თავზე აცვამენ ტომრებს.

სულ „ამნისტიის" ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად ჩრდილოეთ ირლანდიის საპატიმროებსა და „ლონგ კეშის" საკონცენტრაციო ბანაკში უსამართლოდ და გამოუძიებლად ჰყავთ 402 კაცი.

ფაქტები

● **სპეციალურმა სამხედრო** სასამართლომ აღმოსავლეთ პაკისტანის 52 სამოქალაქო მოსამსახურეს დაუსწრებლად მიუსაჯა 14 წლის პატიმრობა და ქონების 50 პროცენტის კონფისკაცია არსებული სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ საქმიანობისათვის.

● **ფინეთის** პარლამენტმა გამოაქვეყნა ხელშეკრულება სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ეკონომიური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მოსკოვში 1971 წლის 20 აპრილს.

● **ინდოეთის** პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი 10 ნოემბერს საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ პარიზიდან ბონს გაფრინდა. მას პარიზში მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჟ. პომპიდუსთან და პრემიერ-მინისტრთან ჟ. შაბან-დელმასთან.

● **ალჟირის** სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ალჟირში აგრარული რეფორმის განხორციელების თაობაზე. ამ ბრძანებულების შესაბამისად ძალაში შევიდა აგრარული რევოლუციის ქარტია. ქარტია ითვალისწინებს მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვას, მიწების განაწილებას ღარიბ ფელაჰებს შორის, კოოპერატივების შექმნასა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას.

● **კონსერვატორთა მთავრობამ** ძლივძლივობით მიაღწია იმას, რომ თემთა პალატამ მოიწონა მისი საბინაო პოლიტიკა, წინააღმდეგ ხმა მისცა 272 პარლამენტარმა და მხოლოდ 297-მა — მთავრობის პოლიტიკას, რომელიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს კერძო და მუნიციპალურ სახლებში ბინის ქირის სისტემატურ მომატებას.

● **ხართუმში დამთავრდა** სასამართლო პროცესი აფრიკაში თეთრკანიან დაქირავებულთა ყოფილი მეთაურის დასავლეთგერმანელი მოქალაქის როლფ შტაინერის საქმის გამო. სასამართლომ შტაინერს მიუსაჯა 20 წლის პატიმრობა სამხრეთსუდანელი სეპარატისტებისადმი დახმარებისათვის.

● **საფრანგეთის** სატვირთო გემმა „მორიმ" კატასტროფა განიცადა ბისკაის ყურეში. შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ ახლო მყოფი ხომალდები, თვითმფრინავები. მათ აღმოაჩინეს რამდენიმე კაცი ეკიპაჟის შემადგენლობიდან, რომელთა გადარჩენა უაღრესად გაძნელებულია ატლანტის ოკეანის ამ ნაწილში ამჟამად მძვინვარე შტორმული ამინდის გამო. კატასტროფის მიზეზები ჯერ ცნობილი არ არის.

კატასტროფები გრძელდება

ბონი, 10 ნოემბერი. (საქტაგი). დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაკარგეს კიდევ ერთი ზებგერითი „სტარფაიტერის" ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. ამჯერად კატასტროფა მოხდა ამერიკის არიზონის შტატში, სადაც ბუნდესვერის პილოტები ეუფლებიან საომარი მოქმედების „უახლეს მეთოდებს". როგორც თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, „სტარფაიტერმა" კატასტროფა განიცადა სასწავლო სროლის დროს. პილოტი გადარჩა.

„სტარფაიტერის" მორიგი კატასტროფა მოხდა იმ მომენტში, როცა დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა სერიოზულად შეაშფოთა ფედერალური დამთვლელი პალატის მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა.

ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თავის დროზე — 10 წელზე მეტი ხნის წინათ — თავდაცვის სამინისტრომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძინა „სტარფაიტერის" თვითმფრინავები, რომლებსაც „მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაკლოვანებანი აქვთ".

ამის შედეგად განვლილი წლების მანძილზე ბუნდესვერმა დაკარგა ამ ტიპის 140-ზე მეტი თვითმფრინავი. ჰაერში და დედამიწაზე კატასტროფების დროს დაიღუპა 67 მფრინავი.

ფედერალური დამთვლელი პალატის დოკუმენტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ნიურნბერგის საქალაქო საბჭოს წევრმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ლოთარ ბორგერმა მოითხოვა „პროკურორის წინაშე პასუხი აგოს" ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბავარიის პარტიის თავმჯდომარემ შტრაუსმა. სწორედ ამ რეაქციონერ პოლიტიკურ მოღვაწეს ეკავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტი იმ დროს, როცა წყდებოდა „სტარფაიტერის" ტიპის თვითმფრინავების შესყიდვის საკითხი.

რეაქციის ხრიკები

მონტევიდეო, 10 ნოემბერი. (საქტაგი). ურუგვაის ქალაქ როჩაში შეეცადნენ თავს დასხმოდნენ ლიბერ სერენის — ფართო ფრონტისაგან ურუგვაის პრეზიდენტობის კანდიდატს საყოველთაო არჩევნებში, რომელიც ამ თვის დამლევს უნდა გაიმართოს. „უცნობთა" მეორე ჯგუფმა ცეცხლი დაუშინა მანქანას, რომელშიც ფართო ფრონტის ხელმძღვანელობის წევრები იყვნენ.

ფართო ფრონტს, რომელიც აერთიანებს ურუგვაის პროგრესულ პოლიტიკურ ძალებს, რომელშიც სხვა პარტიებთან ერთად შედიან ურუგვაელი კომუნისტები, წინასაარჩევნო კამპანიაში სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს ურუგვაელი მშრომელები. ამით შეშფოთებული რეაქცია ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მომავალ არჩევნებში ფართო ფრონტის წარმატებას და ტერორიზმის აქტებსაც კი არ ერიდება.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უწევენ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას „შავი" პოლკოვნიკების რეჟიმს საბერძნეთში, მაშინ როცა ელადის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც თავდაპირველად მხარს უჭერდნენ „ძლიერ ხელისუფლებას", ოპოზიციის მხარეზე გადავიდა ან ემიგრაციაში პოლიტიკური მოტივებით. (გაზეთებიდან).



— უკანასკნელი იმედი!

კარიკატურა ჟურნალ „ნიუსუიკიდან", (აშშ).

დედამიწა სიმაღლიდან

„სალუტ" სადგური — მეცნიერებასა და სახალხო მეურნეობას

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტები ამუშავებენ პირველი პილოტირებული „სალუტ" სადგურის 23 დღის ფრენის დროს მიღებულ დიდი მოცულობის ექსპერიმენტულ მასალას. სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები გულდაგულ სწავლობენ მონაცემებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ახლებურად შევხედოთ დედამიწის ბუნებასა და მისი გარემო სივრცის თავისებურებებს.

პირველი პილოტირებული სამეცნიერო ორბიტული „სალუტ" სადგურის პროგრამა ითვალისწინებდა „დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიული ობიექტების, ატმოსფერული წარმონაქმნების, დედამიწის თოვლისა და ყინულის საფარის გამოკვლევას სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელად ამ ამოცანების გადაწყვეტის მეთოდიკების შემუშავების მიზნით". აქ მოკლედ გამოხატულია საერთო კოსმოსური სივრცის ათვისების საბჭოთა პროგრამის მთავარი მიმართულებაც. იგი გულისხმობს ჩვენი სამშობლოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ხელშეწყობას.

„სალუტ" სადგურის გმირი ეკიპაჟის — გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის 23-დღიანი ვახტის დროს განხორციელდა მრავალი ექსპერიმენტი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია გავაღრმავოთ ცნობები ჩვენი პლანეტის თვისებათა შესახებ.

მეცნიერებმა — გეოლოგებმა, გეოფიზიკოსებმა, გეოქიმიკოსებმა, გეოგრაფებმა, ასტრონომებმა, ასტროფიზიკოსებმა აღიარეს: იმისათვის რომ ღრმად შევიცნოთ ჩვენი პლანეტისა და მისი ატმოსფეროს არსებობის კანონები, საჭიროა კოსმოსური სიმაღლე.

ადამიანი ავიდა ამ სიმაღლეზე, მოიხილა იქიდან მთელი დედამიწა და დაიწყო დედამიწის ცალკეული რაიონების ბევრ წინათ უცნობ ინდივიდუალურ ნიშანთვისებათა შეცნობა. განსაკუთრებით გულმოდგინედ სწავლობდა მას პირველი ორბიტული სადგურის ეკიპაჟი. იგი კოსმოსურ სიმაღლეზე ქმნიდა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ისტორიის ახალ ფურცლებს.

ბევრი ახალი რამ მოგვცა სადგურის კორპუსის გარეთა მხარეზე დადგმული „ორიონ" ასტროფიზიკური ობსერვატორიით განხორციელებულმა დაკვირვებებმა. ეს პირველი ცდაა კოსმოსში ობსერვატორიის შექმნისა, რომელსაც ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან მართავენ. კოსმონავტის ამოცანა ის იყო, რომ გამოეცნო შესასწავლი ვარსკვლავი და სპეციალური სავიზირო სისტემის საშუალებით „დაეჭირა" იგი. შემდეგ ობსერვატორია, უკვე ადამიანის ჩაურევლად, ახორციელებს ზუსტ ორიენტაციასა და მისდამი თვალთვალს, ამრიგად, დადასტურდა, რომ პრინციპულად შესაძლებელია მომავალში შეიქმნას ორბიტული სადგურების გარეთ განლაგებული უფრო მძლავრი ობსერვატორიები, რომელთაც მართავენ სადგურში მყოფი კოსმონავტები...

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა აპარატურის კომპლექსის „ერას" — საშუალებით. სპეციალურ რადიოანტენებზე შესწავლილია დიდი სიხშირის ელექტრონული რეზონანსის მოვლენები. მიმდინარეობდა იონოსფეროს პარამეტრების გაზომვა, სადგურის მახლობლად დამუხტული ნაწილაკების სივრცობრივი განაწილების რეგისტრაცია, სადგურის კორპუსის პოტენციალის განსაზღვრა.

როცა ადამიანი დიდი სიმაღლიდან დაჰყურებს მშობლიურ პლანეტას, იგი თითქოს ხელახლა ხედავს დედამიწის ბუნებას. ხედავს იმას, რაც დღემდე თვალისათვის მიუწვდომელი იყო.

სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის, აკადემიკოს ა. ვ. სიდორენკოს აზრით, კოსმოსურმა სიმაღლემ მნიშვნელოვნად გააფართოვა ტრადიციული აეროლოგიური მეთოდების შესაძლებლობანი. მისაწვდომი გახდა ასობით და ათასობით კილომეტრი სივრცის სტრუქტურული და გეოლოგიური ობიექტების შესწავლა.

შეზღუდულია და ერთ ფოტოსურათზე შეიძლება აღიბეჭდოს 30-50 ათასი კვადრატული კილომეტრი და მეტი ფართობი. უკვე ყალიბდება ახალი მიმართულება — კოსმოსური გეოლოგია. გამოირკვა, რომ რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა დაკვირვების წერტილი, მით უფრო კარგად ჩანს დედამიწის წიაღის აგებულება. დიდი მუშაობა მოგველის ამ მოვლენის მეცნიერული გააზრებისათვის, თქვა აკადემიკოსმა, რადგან მას შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს გლობალური კვლევის განვითარებისათვის.

— რას აძლევს ეს გეოლოგიურ პრაქტიკას!

უწინარეს ყოვლისა შესაძლებლობას საგულდაგულოდ შევისწავლოთ ცნობილი გლობალური, რეგიონალური და ლოკალური გეოლოგიური წარმონაქმნების სტრუქტურა, რომელთაგან ბევრი განსაზღვრავს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა განაწილებას. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დავაზუსტოთ პროგნოზის გეოლოგიური რუკები, ვაწარმოოთ უდიდესი ნავთობ-გაზისა და მადნეულის რაიონების შედარებითი ანალიზი და გამოვავლინოთ ძიებისათვის პერსპექტიული ფართობები...

სწორედ ამიტომ ყრილობის დირექტივებში კანონზომიერად უკავია სათანადო ადგილი სიტყვებს: „ახალ ხუთწლეულში უზრუნველვყოთ... კოსმოსში სამეცნიერო სამუშაოთა წარმოება სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის, ტელევიზიის, მეტეოროლოგიური პროგნოზირებისა და ბუნებრივი რესურსების შესწავლის, გეოგრაფიული კვლევის შემდგომი განვითარებისათვის და თანამგზავრების, ავტომატური და პილოტირებული აპარატების საშუალებით სხვა სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით"...

ეჭვიც არ არის, რომ ამ ამოცანათა განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაა ხანგრძლივი პილოტირებული ორბიტული სადგურების შექმნა.

ლ. მარკელოვა.

საქართველოს მთა-ბარში

ახალი სკოლა ბოდბისხევში

განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ახალი ტიპური სასკოლო შენობა, რომელიც ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო თავისი სახსრებით.

საზეიმო მიტინგი გახსნა სკოლის დირექტორმა გ. ჭაბაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილი, რაიონის განათლების განყოფილების გამგე ელ. დალაქიშვილი, მასწავლებელი ლ. ხინჯიკაშვილი, მშობლები მ. ბეგიაშვილი, თ. გელაშვილი, მოსწავლე მ. ცაბუტაშვილი და სხვ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. გელაშვილი. მან სოფლის მშრომელებს მიულოცა საოქტომბრო საჩუქარი — სკოლის ახალი შენობა და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

ახალი სკოლის მთავარი კორპუსი სამსართულიანია, ორი კი ორ-ორ სართულიანი, კორპუსები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემინული, დახურული გადასასვლელებით. სკოლის ფართობი 700 კვადრატულ მეტრს შეადგენს. კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყოიარაღებით.

ფართო, ნათელ საკლასო ოთახებში მეცადინეობა დაიწყო.

ნ. დოგუზაშვილი.

პიესა სამშობლოსათვის თავდადებულზე

ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა პოლიკარპე კაკაბაძემ დაამთავრა მუშაობა ტრაგედიაზე „დიმიტრი II თავდადებული". პიესა მიძღვნილია სამშობლოსათვის ნაწამები რაინდის დიმიტრისადმი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა საქართველოს. ეკლესიამ დიმიტრი თავდადებული წმიდანად აღიარა. ჩვენი ქვეყნისათვის მე-13 საუკუნის დასასრული უბედურების, რბევისა და გაჩანაგების დრო იყო. მონღოლებმა წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო — საქართველო იავარყვეს და ნანგრევებად აქციეს. აი ამ რთულ ეპოქას ეძღვნება პოლიკარპე კაკაბაძის აღნიშნული პიესა, რომლის ნაწყვეტები ჯერ კიდევ 1946 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში". „დიმიტრი II თავდადებული" ხუთმოქმედებიანი ტრაგედიაა. პიესის მოქმედ პირთა რიცხვი ოცდაათია.

„დიმიტრი II თავდადებული" შევა პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებების მეორე ტომში. დღეს პიესა უკვე მზად არის და გადაეცა საქართველოს კულტურის სამინისტროს აკადემიურ თეატრებში დასადგმელად.

კომუნისტური შრომის სკოლებში

☐ ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებსა და მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში შეიქმნა კომუნისტური შრომის სკოლები. ლენინის, დიმიტროვის, სტალინის, ორჯონიკიძის, კალინინის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროებში, ცენტრალურ დამყვან და ხაფლოტაციო ფაბრიკებში შექმნილ 11 კომუნისტური შრომის სკოლაში გაერთიანებულია 263 მაღაროელი.

კომუნისტური შრომის სკოლებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი და მცოდნე ინჟინრები.

☐ ტყიბული. (საკ. კორ.). რესპუბლიკის ქვანახშირის შახტებში მრავალი ოსტატი მუშაობს. მათი ტექნიკური ცოდნის დონისა და ორგანიზატორული უნარის ამაღლების მიზნით ლენინის სახელობის შახტთან გაიხსნა წარმოების ოსტატთა მუდმივმოქმედი სკოლა.

გარდა ტყიბულელებისა, აქ პროფესიულ ცოდნას იმაღლებენ ტყვარჩელელი და ახალციხელი ცვლის უფროსები. სკოლაში ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ინჟინრები და ეკონომისტები.

☐

წყალტუბოდან — საზღვარგარეთ

წყალტუბო. (საკ. კორ.). ჩაის ფაბრიკამ წელს 3.254 ტონა ნედლეული მიიღო და გადაამუშავა. ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება.

წყალტუბოდან 40 ტონა ქართული ჩაი გაიგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, ხოლო 20 ტონა — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მთები და ადამიანები

მესტია დღეს და ხვალ

კოკისპირულ წვიმაში მიჰყავს მთებში გაჭრილ გზას ჩვენი „ვილისი". მთიდან მთაზე გადავდივართ, ქვევით კი უფსკრულში ენგური ღრიალით მიაპობს კლდეებს და შავი ზღვისაკენ მიქუხს. შედარებით მშვიდად გავიარეთ ენგურჰესის სამშენებლო ობიექტები. ხაიშამდე არც კი ვეყავით ასულნი, რომ ენგურივით მშფოთვარე ნიაღვარი ჩამოწვა მთებიდან, ფართო შარაგზა, რომელიც ჯვარიდან მესტიამდე გაჰყავთ შუაზე გადაჭრა და ტბა გააჩინა. მესტიიდან და ზუგდიდან მიმავალ-მომავალი მანქანები ხელოვნური ტბის გასწვრივ გაიხირნენ. გადავწყვიტეთ ღამე აქვე გაგვეთია, მაგრამ ჩვენმა მძღოლმა იროდი ილდანმა იძალა და პირველი ევვითა მოძალებულ ნიაღვარს. რაღაც უცნაური შემთხვევით გადავურჩით ხიფათს — ენგურში გადაჩეხას. გზადშემხვედრილნი სტიქიაზე გამარჯვებას გვილოცავდნენ.

— ასეთია მთიელი კაცის ბედი, — გვეუბნება მძღოლი, — ერთ წუთს შეიძლება ხიფათს გადაეყარო.

ხანგრძლივი და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ მივაღწიეთ მესტიას.

ყველაფერი კარგი. რასაც მესტიაში ნახავთ, ახალია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენებული და გაკეთებული. ძველი მაჩუბები (სახლები) და ციხე-კოშკები სვანების დუხჭირ ცხოვრებას, მტრებთან სისხლისმღვრელ ბრძოლებს მოგვაგონებენ.

მთებს შუა მოქცეულ ტაფობზე გაშენებული რაიონული ცენტრი მესტია. ფერდობებს შეფენია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, ოდასახლები, საწარმოები, რომლებსაც მუდამ თოვლით დაფარული, ტურისტების ოცნება უშბა და თეთნულდი გადმოჰყურებენ.

ზემო სვანეთში არის 32 დაწყებითი, 13 რვაწლიანი, 11 საშუალო სკოლა, 1 სკოლა-ინტერნატი, 2 სპორტული სკოლა, 10 სასკოლო ინტერნატი და 11 საბავშვო ბაღი, რომლებიც დაკომპლექტებულია საჭირო კვალიფიკაციისა და ცოდნის მქონე პედაგოგებით.

ამ სკოლებში გაზრდილი მეცნიერები, პოეტები, მწერლები, ინჟინრები საქვეყნოდ არიან ცნობილნი. სასკოლო შენობების ქსელი კვლავ ფართოვდება და კეთილმოწყობილი ხდება.

ახლა რაიონში არ არის სოფელი, სადაც არ იყოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება. მთელი სამედიცინო პერსონალი ადგილობრივი მცხოვრებლებია. მეფის დროს კი სვანეთში იყო მხოლოდ 2 საფერშლო პუნქტი თითო ფერშლით. რაიონის წამყვანი ქირურგი გ. გირგვლიანი და რაისაავადმყოფოს ბავშვთა კონსულტაციის გამგე ქეთინო ჯაფარიძე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები არიან. აქ კეთდება ყველა სახის ქირურგიული და სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციები.

შარშანდელთან შედარებით წელს რაიონის მოსახლეობას მიეყიდა 96 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი. მიუხედავად ამისა დიდი მოთხოვნილებაა ავეჯზე, ტყავის ფეხსაცმელზე, სამშენებლო მასალებზე, კულტსაქონელზე და სხვ. ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი კვების ობიექტები, შენდება ახალი მაღაზიები და სასადილოები.

სოფლები დაიქსელა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებით. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჭუბერში, ბეჩოში, ლატალში, მულახსა და იფარში აშენდა და გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონები. წელს მესტიაში გაიხსნა საათების შემკეთებელი სახელოსნო, ფოტოატელიე. წლის ბოლომდე გაიხსნება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკერვის სახელოსნოები და სუვენირების წარმოება.

სიდუხჭირეს თავი დააღწია მთიელმა კაცმა. რადიო, ტელეფონი, ელექტრობა, გაზი, დამკვიდრდა მთიელთა ცხოვრებაში.

მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მიხეილ ქალდანი) ერთ-ერთი დიდი და ეკონომიურად მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა მესტიაში. კოლმეურნეობის ძირითადი შემოსავლის წყარო მეცხოველეობა. ჰყავთ 970 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 845-ისა. აქედან 192 სული ძროხაა. გეგმით გათვალისწინებული ნამატი მთლიანად მიიღეს და შეინარჩუნეს.

კოლმეურნეობამ წველადობის, რძის წარმოების, ხორცის დამზადების წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. მწველავები ასმათ ზურებიანი, ლიანა გიგანი, სვეტა დადვანი, ზოია ქალდანი, ცუცა ნავერიანი, ნადია დადვანი გადაჭარბებით ასრულებენ წველადობის გეგმებს.

საკვებმომპოვებლებმა და მეყანსებმა სოსო იოსელიანმა, სიმლარ ნავერიანმა, მირიან ქალდანმა, ტატაშ ჯაჭვლიანმა, დავით ნავერიანმა, ბაჯუ გიგანმა, დავით გუჯეჯიანმა, კარლო მარგიანმა, პავლო მიფსუანმა, ათი ათასი ცენტნერი საკვების ნაცვლად 12 ათასი ცენტნერი დაამზადეს და დააბინავეს.

გარდა მეცხოველეობისა აქ მისდევენ კარტოფილისა და ქერის მოყვანას.

ცხუმარის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ჯ. გურჩიანი) მეცხოველეობის ფერმები და ხეხილის ბაღები აქვს. აქვთ 391 ნაცვლად 427 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ. რძის მიღების წლიური გეგმა კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 1 აგვისტოსათვის შეასრულა. ასევე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. მეცხოველეობიდან წელს ცხუმარელებმა 57 ათასი მანეთი უნდა მიიღონ, აქ კი 60 ათას მანეთზე მეტს მიიღებენ.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის კეთილმოწყობას. კოლმეურნეობამ ლაბსყალდის უბნამდე 4 კილომეტრზე გაიყვანა სამანქანო გზა. ლესგარამდე გაიყვანეს წყაროს წყალი 1 კილომეტრზე. წყარო გალახჰყავთ აგრეთვე ტვიბერის უბანში, გადეს ხიდ ენგურზე და სხვ.

უშგულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი დ. ჩარკვიანი) გასული წელი მოგებით დაამთავრა. წელსაც კარგად შრომობენ აქაური მეცხოველეები და კარგი შედეგიც აქვთ. ზამთრისათვის უშგულელები კარგად ემზადებიან. აქ ყველა პირობაა მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ვნახეთ კალა, იფარი, ადიში, წვიმრი, ბეჩო, რომლებიც ქალაქური ტიპის ახალშენები გეგონებათ.

მაგრამ მესტიაში ბევრი ჩრდილოვანი მხარე, ბევრი გადასაჭრელი პრობლემაც არის. ბევრი ნაკლი ჩვენ თვითონ ვნახეთ და ბევრზეც მთის ადამიანებმა გულისტკივილით გვიამბეს.

რაიონულ ცენტრში, მესტიაში პური ცხენის საზიდრით დააქვთ. როცა ეს ვნახეთ, ძალიან გაგვიკვირდა. მაღალმთის სოფლებში მსუბუქი მანქანები დაქრიან, და ნუთუ რაიონულ ცენტრში ერთი პურსაზიდი მანქანაც არ უნდა იყოს! აგრეთვე გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, რომ არ არის წიგნის სპეციალიზებული მაღაზია.

მესტიაში უნდა მუშაობდეს 55 ექიმი, მუშაობს 29. უექიმოდ დარჩენილია კალის, ეცერის, ნაკრის, ლატალის და სხვა სასოფლო საბჭოები. აკლიათ აგრეთვე მათემატიკისა და რუსული ენის მასწავლებლები.

გასულ, 1970 წელს რაიონის ცენტრში დაიწყო 4-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტის" მშენებლობა, მაგრამ იგი მალე დაკონსერვდა. წელს მშენებლებს არც ერთი ქვა და აგური არ დაუდგიათ. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს (რომელიც მას აშენებს) და რაიონის ხელმძღვანელებს შორის დავაა, შენობა ხის აშენდეს თუ აგურისა. ამ დავას ბოლო უნდა მოეღოს და საქმე წინ წავიდეს.

შარშან 24 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „მთიანი რაიონის კონტრასტები". წერილში მთელი რიგი აქტუალური საკითხები იყო აღძრული. აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობები ხილის უხვ მოსავალს იღებენ, ასევე სვანეთის ტყეებში ბლომად არის ხილი და კენკრა. საკითხი იყო დასმული რაიონში ხილის გადასამუშავებელი რაიმე სახის ქარხნის აშენებაზე. ასევე აქ სახამებლის ქარხანა რომ აშენებულიყო, კარტოფილის მოსავალი უფრო რაციონალურად იქნებოდა გამოყენებული. ეს საკითხები, დღემდე უყურადღებოდ არის დატოვებული.

გაზეთი იძლეოდა საყურადღებო სიგნალს, რომ მესტიის კულტურის სახლი დანგრევის პირას არის მისული, ახალი კულტურის სახლის მშენებლობის საკითხი კი რატომღაც ჭიანურდება. მაგრამ ეს სიგნალიც კულტურის სამინისტრომ ყურად არ იღო.

და, ბოლოს, გაზეთის კიდევ ერთი სერიოზული სიგნალის შესახებ, რომლისთვისაც სათანადო ორგანოებს ყურადღება არ მიუქცევიათ. გაზეთი წერდა:

„მესტიის მთები მდიდარია წიაღისეულით. რესპუბლიკის გარეთაც კარგად არის ცნობილი სვანეთის მარმარილო. მარმარილოსა და თაბაშირის მაღაროთა სამმართველო მოთავსებული იყო ხაიშის ახლოს დიზში. მაგრამ რატომღაც სამმართველო ჯერ ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში გადაიტანეს, შემდეგ კი წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში. დიზის მარმარილოსა და თაბაშირის სამმართველოს შენობები უპატრონობით დაინგრა და გაპარტახდა. მაღაროელებს პატარა წვრილმანი საქმისთვისაც კი ჯვარში უხდებათ ჩასვლა, სამმართველოც მესტიის რაიონის ხელმძღვანელობას მოწყვეტილია. ამიტომაც არის, რომ მისი მუშაობა დიდად არ ბრწყინავს".

გაზეთის სიგნალებს, საქმიან შენიშვნებს დროზე უნდა ეხმაურებოდნენ სათანადო ორგანოები. მკითხველი მათ პასუხს მოელის.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● მეცხოველეობა მაღალმთიანი სვანეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. სამეურნეო წელს წარმატებით ამთავრებენ მესტიის კოლმეურნეობის მეცხოველეები. წლიური დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებითაა შესრულებული. სურათებზე: მარცხნივ — დილა მაღალმთიანი მესტიის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში; მარჯვნივ — დაბა მესტიის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები (მარცხნიდან): ანთისა ფალიანი, სვეტლანა რატიანი და თინა ჩართოლანი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სერგი სიგუა

გარდაიცვალა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი სერგი ნოეს-ძე სიგუა.

სერგი ნოეს-ძე სიგუა დაიბადა 1901 წლის 16 სექტემბერს აბაშის რაიონის (მაშინდელი სენაკის მაზრის) სოფელ ონტოფოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ქუთაისში საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი იწყებს თავის მრავალმხრივ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან სახელოვნად განვლო ცხოვრების დიდი და შინაარსიანი გზა სოფლის მასწავლებლიდან მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწემდე.

1920 წლიდან 1930 წლამდე ს. სიგუა რაიონში მუშაობდა. 1928 წელს იგი შედის სკკპ რიგებში.

1930 წლიდან ს. სიგუა სამუშაოდ გადმოდის თბილისში, არის ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ხოლო 1934 წლიდან 1936 წლამდე საქართველოს სსრ განსახკომის ჯერ ინსტრუქტორი, შემდეგ კი სამმართველოს უფროსი. 1936 წელს იგი ხელმძღვანელობს თეთრი წყაროს რაიონის განათლების განყოფილებას.

ს. სიგუამ 1934 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი. 1937 წლიდან ს. სიგუა მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების სექტორის გამგედ. ამავე დროს იგი კითხულობდა ლექციების კურსს პედაგოგიკაში.

1938 წელს ს. სიგუამ დაამთავრა საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურა და 1940 წელს დაიცვა დისერტაცია.

1944 წელს ს. სიგუა დაინიშნა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, არჩეული იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად და ამასთანავე შეთავსებით მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ.

1955 წლიდან ს. სიგუა სამუშაოდ კვლავ თბილისში ბრუნდება და ინიშნება საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის სექტორის გამგედ. 1959 წლიდან — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრას განაგებდა. 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1964 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

მაღალნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ს. სიგუა სისტემატურად ეწეოდა მეცნიერულ კვლევას. მან ქართული პედაგოგიკური ლიტერატურა გაამდიდრა 100-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევით. მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით მომზადდა ქართული პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის გამოცემა უახლოეს მომავალშია გათვალისწინებული.

პროფესორი ს. სიგუა ზრუნავდა ახალგაზრდა პედაგოგთა კადრების აღზრდაზე, მათ პედაგოგიურ დახელოვნებაზე, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მომზადებაზე.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს პროფესორ ს. სიგუას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით, ი. გოგებაშვილის მედლით და სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. 1967 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1970 წელს გოგებაშვილის სახელობის პრემია მიეკუთვნა მის შრომას „სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში".

ჩვენს შორის აღარ არის მასწავლებელი და მეცნიერი, საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია მოახმარა სახალხო განათლებისა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება; თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

პროფესორ ს. ნ. სიგუას დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

პროფესორ ს. ნ. სიგუას დაკრძალვის მომწყობი კომისია იუწყება, რომ პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაში (კლარა ცეტკინის ქ. № 100) 11 და 12 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, 13 ნოემბერს კი განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) დღის 2 საათზე. გამოსვენება 3 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი

სერგი ნოეს-ძე სიგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ათასნაირი ამბები

☐

ზღვის ლომი სტუმრად მებადურებთან

სევასტოპოლის სატრალერო ფლოტის ხომალდ „ლივადიაზე", რომელიც რეწვას აწარმოებდა შორეულ ატლანტის წყლებში, ჩვეულებრივი მუშაობა მიმდინარეობდა — თევზით სავსე ბადეს იღებდნენ წყლიდან. მოულოდნელად მებადურებმა შენიშნეს ბადეში გახვეული ზღვის ლომი. წყალქვეშა სამეფოს ამ წარმომადგენელთან შეხვედრა ყოველთვის საშიშია. ამ შემთხვევაში საქმე სხვანაირად შეტრიალდა. გემბანზე ზღვის ლომმა თავი მოიმკვდარუნა.

მებადურები გარს შემოეხვივნენ და თვალიერება დაუწყეს „არაჩვეულებრივ ნადავლს". ერთ-ერთმა ხუმრობით ხელოვნური სუნთქვის გაკეთებაც დაუწყო ზღვის ლომს. მაშინ კი ზღვის ლომმა გამოიჩინა თავისი ლომური ხასიათი. გაცოფებით ეკვეთა იგი გარშემო მყოფთ. მებადურებმა გაქცევით უშველეს თავს. როცა მხეცმა დაინახა, რომ ყველა გაიქცა, დაიწყო სამალავის ძებნა. ამისათვის მან ამოირჩია ზედა გემბანის ვიწრო გასასვლელი. მებადურებს სახანძრო ბრანდსპოიტების გამოყენება დასჭირდათ გაჭირვებული ლომის იქიდან გამოსაგდებად. წყლის მძლავრმა ნაკადმა აიძულა ზღვის ლომი დაეტოვებინა გემი.

ვინ დაიმსახურა მედლები?

როგორც ვიუწყებოდით, ერევნის 8 ნოემბრის მატჩით გადაწყდა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების საკითხი. პირველად ჩემპიონატის ისტორიაში „არარატი" მეორე პრიზიორი გახდა, თბილისის დინამოელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აქ ლაპარაკია გუნდებზე, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ რომელმა ფეხბურთელებმა დაიმსახურეს ვერცხლის, ან ბრინჯაოს მედლები. როდესაც საკითხი მედლების განაწილებაზე მიდგება, აქ მთავარი ყურადღება ექცევა იმას, თუ სეზონის განმავლობაში ვინ რამდენი მატჩი ითამაშა. ყოველ შემთხვევაში საერთო რაოდენობა იმის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც გუნდმა ითამაშა.

როგორც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში ცნობილი გახდა, ერევნის „არარატიდან" ვერცხლის მედლები გადაეცემათ — ა. აბრამიანს, რ. ავანესიანს, ფ. აბრამიანს, ა. კოვალენკოს, ნ. მესროფიანს, ა. ანდრიასიანს, ს. ბონდარენკოს, ლ. იშტოიანს, ე. მარქაროვს, ლ. ზანაზანიანს, ნ. კაზარიანს, ე. არუთინიანს.

თბილისის დინამოელებიდან ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ — რ. ურუშაძე, რ. ძოძუაშვილი, ზ. ებრალიძე, მ. ხურცილავა, მ. მაჩაიძე, გ. პეტრიაშვილი, ს. კუტივაძე, გ. გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ვ. ჭელიძე, დ. ყიფიანი.

რამდენიმე სტრიქონით

● **დამთავრდა** უნგრეთის პირველობა ჭადრაკში ვაჟთათვის. ჩემპიონის ტიტული მეშვიდეჯერ მოიპოვა გროსმაისტერმა ლ. პორტიშმა, რომელმაც 17-დან 11 ქულა შეაგროვა. მეორე იყო ზ. რიბლი — 10 ქულა, მესამე — ი. ბილეკი — 9,5 ქულა.

● **ტოკიოში** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა იაპონიისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა შორის. 10 კილომეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენი ნ. სვირიდოვი მეორე იყო. გაიმარჯვა ტ. მიასიტამ — 29 წუთი და 48,4 წამი.

● **მძლეოსანთა** ევროპის ასოციაციის კონგრესზე დამტკიცებულ იქნა კონტინენტის ახალი რეკორდები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში, რომლებიც ნაჩვენები იქნა წლევანდელ ასპარეზობაში. მათ რიცხვში არის საბჭოთა სპორტსმენის ფ. მელნიკის რეკორდი ბადროს ტყორცნაში, რომელიც 64,22 მეტრს უდრის.

სპორტი

ლიდერობს საბჭოთა ნაკრები

ერევანში რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი ჭადრაკში. უკვე გათამაშდა სამი ტური. საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებმაც ჩინებული სტარტი აიღეს, განაგრძობენ ლიდერობას. ისევე, როგორც წინა ორ ტურში, მესამეშიც ანგარიშია 4:2 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ, სამი პარტია გადაიდო.

მესამე ტურში, სადაც თეთრებით საბჭოთა მოჭადრაკეები თამაშობდნენ, ყველაზე ადრე დამთავრდა გროსმაისტერების შტეინისა და ივკოვის პარტია. მე-12 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. შტეინსა და ივკოვს შემაძეს ბაგიროვმა და მატანოვიჩმა. აქაც ყაიმი. აგრესიულად იბრძოდა გიპსლისი მაროვიჩის წინააღმდეგ და მალე აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო. პირველი გამარჯვება იზეიმეს სტუმრებმა. თავის გუნდს ქულა მოუტანა რადულოვიჩმა ბელიავსკისთან შეხვედრაში. ტურის ბოლოს საბჭოთა მოჭადრაკეებმა კიდევ ორი გამარჯვება იზეიმეს. კუზმინმა კარგ სტილში მოუგო კურაიცას, ხოლო გროსმაისტერმა კორჩნოიმ — მინიჩს.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ნაკრები 17,5:6,5. სამი პარტია გადადებულია. გუშინ შედგა მეოთხე ტური.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია).

22 ნოემბერს დღის 4 საათზე **ნოდარ ვალერიანის-ძე ბოკუჩავა** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბეტეს მეთოდის განზოგადება და მაქსიმალური ენტროპიის პრინციპი".

(მაღლივი კორპუსი, აუდიტორია № 205).

24 ნოემბერს დღის 2 საათზე **ფელიქს ალექსანდრეს-ძე კრუტიკოვი** ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოხმარების საგნების ბაზრის შესწავლის პრინციპები და მეთოდები".

29 ნოემბერს დღის 3 საათზე **ჯონდო ვლადიმერის-ძე შარიქაძე** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „უწყვეტი გარემოს არასტაციონარული მოძრაობის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა".

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, აუდიტორია № 107).

26 ნოემბერს დღის 2 საათზე **ხუმბათ დარჩინოს-ძე ავაქიანი** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ყარაბახის საბჭოთაპერიოდამდელი ბეჭდვითი სიტყვა".

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, აუდიტორია № 87).

27 ნოემბერს დღის 2 საათზე **ოთარ ხასანის-ძე შამილაშვილი** ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზოგიერთ ჰიდრაზინორგანულ ლიგანდებთან გარდამავალ ლითონთა კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და გამოკვლევა".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

11 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მარადისობის ელჩები", 12.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი ბავშვებისათვის, 13.20 — ბავშვებისათვის — „ოქროს შაიბის" კლუბის პრიზზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — „ცეროდენას ეკრანი", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში" — „მეცნიერება — სოფელს", 18.40 — განცხადებები, 18.45 — კინონარკვევი, 19.00 გადაცემა — „დეპუტატი და ცხოვრება", 19.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — დოსტოევსკის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 22.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 22.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — „წარმოგიდგენთ ლაურეატებს" — ზ. სოტკილავას და საფორტეპიანო ტრიო: ბეზვერხნის, იამპოლსკისა და ბონდურიანსკის მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — საქართველოს ისტორია (დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საქართველო), 19.05 — განცხადებები, 19.10 — ფრანგული კინოპანორამა (განმეორებით), 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.40 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში" (პირველი სერია).

12 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „პიონერია" (გადმოცემა სვერდლოვსკიდან), 11.45 — ბავშვებისათვის — ნახატი ფილმი, 12.50 — მხატვრული ფილმი — „ჩაბნელებული ფანჯრები" (მესამე სერია), 13.30 — „მათთვის, ვინც ახლა ისვენებს", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „პიონერული მარშით", 18.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). შესვენების დროს და 20 საათსა და 15 წუთზე — „მოამბე", 20.30 — „ხუთწლედი მოქმედებაში" — ხაშურელ მეჭარხლეებთან, 20.40 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად, 21.00 — ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები" — ემანუილ აფხაიძე, 21.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „მარადისობის ელჩები".

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ამოცანების ამოხსნა ძალაზე), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ხატვა ნატურიდან მე-6 კლასელთათვის, 19.50 — განცხადებები, 19.55 საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „წუთიერი დუმილი", 20.15 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, 21.00 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში" (მეორე სერია).

თეატრები

11 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლუჩია დი ლამერმური (მე-10 აბონ. მე-5 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხიდი; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ცომანიშვილის ღედინაცვალი. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცოლები და ქმრები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უა 04963

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.